ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 8 სექტემბერი, 2021 | №167 (8696) | ფასი: 60 თეთრი

გვ.5

მასშტაბური სპეცოპერაცია საქართველოში

შსს-მ 21 პირი დააკავა

უზენაესმა სასამართლომ დავით კეზერაშვილს 5 წელი მიუსაჯა

„ამ უმსგავსობის ინიციატორი ირაკლი ღარიბაშვილია“

გვ.5

„კალაძესა და ივანიშვილს შორის შავმა კატამ უკვე გაირბინა“

გვ.2

კახა კუკავა: „ივანიშვილი სააკაშვილს ფულს უხდის იმისათვის, რომ მიშა არჩევნების წინ გააქტიურდეს“

„ოცნებას“ ვადამდელი არ უნდა“

ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილის ჩამოსვლას ნაკლებად ველი. ამისთვის ხელისუფლების შეცვლაა საჭირო“

გვ.2

„სააკაშვილი მელიას ებრძვის“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „ხალხს ისე არ უნდა ელაპარაკო, როგორც წულუკიანი და კობახიძე ელაპარაკებიან“

„სააკაშვილი „ქართულ ოცნებას“ კიდევ ერთ საჩუქარს უკეთებს“

გვ.3

გიგა ბუკია: „თუ „ოცნებამ“ არჩევნებში 40%-ზე ნაკლები მიიღო, სააკაშვილს თვითმფრინავს თვითონ გაუგზავნის“

გვ.4

„ნაცები არჩევნებამდე რაღაც სიურპრიზს შემოგვთავაზებენ“

დათო ლორთქიფანიძე: „სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების ამსახველი მასალის განადგურება სამართლებრივად სწორი არ იყო“

ISSN 1987-9385

5 „კარფურის ლინკი არ გახსნათ!“ თაღლითური სქემა ფეისბუქში

3 პარლამენტმა პირველი მოსმენით საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო

გომელაური ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

გვ.5

„კალაძესა და ივანიშვილს შორის შავმა კატამ უკვე გაირბინა“

კახა კუკავა: „ივანიშვილი სააკაშვილს ფულს უხდის იმისათვის, რომ მიშა არჩევნების წინ გააქტიურდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ტრადიციულად აქტუალური ხდება თემა – მიშა მოდის. ბევრს სასაცილოდ აღარ ჰყოფნის ეს ყველაფერი, ყოველი არჩევნების წინ ერთი და იგივე. რა მიზანს ემსახურება სააკაშვილის განცხადებები და რამდენად არის მისი ჩამოსვლის შანსი?

– რაც შეეხება იმას, სააკაშვილი ჩამოვა თუ არა, ერთში დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი ციხეზე არ წავა, ანუ ის მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოვა საქართველოში, თუ დარწმუნებული იქნება, რომ ციხეში არ გაუშვებენ.

– არსებობს რაიმე ბერკეტი, რომ სააკაშვილი არ დაიჭირონ?

– არსებობს. ან საერთაშორისო ვითარება, ან შიდავითარება უნდა იყოს შესაფერისი. შიდავითარება დღესდღეობით ამისთვის შესაფერისი არ არის. სააკაშვილის გათავისუფლება კი არა, მელიას ირგვლივ ბევრად მეტი მხარდაჭერა არსებობდა, მაგრამ მელიას დასაცავადაც კი, ვნახეთ, რომ მრავალათასიანი აქციები არ დაწყებულა, მით უმეტეს სააკაშვილის დასაცავად ასეთი რამ მოსალოდნელი არ არის. საერთაშორისო განწყობაც ისეთია, რომ, მართალია, „ქართული ოცნების“ მიმართ არსებობს სკეპტიციზმი, მაგრამ, იმასაც კარგად ხედავენ, რომ აქ რაიმე სერიოზული ალტერნატივა არ არსებობს. სწორედ ამიტომაც შარლ მიშელის დოკუმენტი თავზე გადაახიეს არა მარტო ოპოზიციას, არამედ საერთაშორისო საზოგადოებასაც.

– ნელ-ნელა გამოხშირეს დოკუმენტი, ახლა პროკურორის არჩევის წესზეც მიდგა ჯერი.

– საკონსტიტუციოსაც ჩააგდებენ დღეს–ხვალ... პოლიტიკაში მთავარია ძალათა ბალანსი. დღეს საქართველოში ძალათა ბალანსი არის ივანიშვილის სასარგებლოდ და, სანამ ეს ბალანსი არ შეიცვლება, აქ ვითარებაც არ შეიცვლება. სააკაშვილს კი ამ ბალანსის შეცვლის შესაძლებლობა არა აქვს. დღეს სიტუაცია მის სასარგებლოდ არ არის და ძალათა ბალანსის ცვლილებაც მასზე არანაირად არ არის დამოკიდებული. მიშას დღეს ამის ყველა რესურსი ამოწურული აქვს. პირიქით ხდება, დრომ აჩვენა, რომ მისი აქტიურობის შედეგად ძალათა ბალანსი ყოველთვის „ოცნების“ სასარგებლოდ იცვლება ხოლმე.

– ანუ აწყობს ხელისუფლებას მიშას ამ კუთხით აქტიურობა?

– რა თქმა უნდა, აწყობს. რამდენი ხანია უკვე ამაზე ვსაუბრობთ და თვითონ ლიბერალებიც კი მიხვდნენ და ალაპარაკდნენ ამაზე, რომ შესაძლოა ეს ხელისუფლებას წაადგეს. როგორც იქნა, მათ ტვინამდეც დავიდა, რომ სააკაშვილის ამგვარი აქტიურობა რეალურად არის ივანიშვილის სასარგებლოდ. მეორე ამბავი, რომელიც მე მსმენია და რომელსაც ადრე არ ვიჯერებდი, არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს ფულს უხდის იმისათვის, რომ მიშა არჩევნების წინ გააქტიურდეს. ადრე ამის არ მჯეროდა, მეცინებოდა, თუმცა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო რეალური მგონია ეს ყველაფერი.

– ამით „ქართული ოცნება“ ისევ ორპოლუსიანობას უწყობს ხელს? ან მიშა, ან ბიძინა?

– რა თქმა უნდა და „ქართული ოცნების“ მხრიდან ეს ყველაფერი გასაგებია. არც გაურკვეველია ამაში რამე და არც მოულოდნელი. მისთვის ეს მომგებიანი ნაბიჯია და რაც შეუძლია, ცდილობს. როცა აძლევენ ამის შესაძლებლობას, რატომაც არ გააკეთებს!

– პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა დაიწყო და სხვებთან ერთად თქვენც ვარაუდობთ, რომ შესაძლოა „ოცნებამ“ საკონსტიტუციო ცვლილებები ჩააგდოს. რა მოლოდინი გაქვთ? ამ ეტაპზე მხოლოდ 2%-იანი ბარიერი და სრულად პროპორციული სისტემა დარჩა, ამას უნდა უყარონ კენჭი და, შესაძლოა, ესეც ჩააგდონ?

– რეალურია შანსი იმისა, რომ ეგეც ჩააგდონ. აბსოლუტურად ვეთანხმები და ვიზიარებ ამ მოსაზრებას. „ქართული ოცნება“ თუ ამ თამაშს მოიგებს, ეს ყველაფერი მოკლევადიან პერსპექტივაში უნდა განვიხილოთ. საერთაშორისო საზოგადოების ასე ღიად გამოწვევა მარტივად არ შერჩებათ. კი, გასაგებია, რომ ახლა ჩვენთვის არ სცალიათ, მაგრამ მოიცლიან.

– ამერიკელი სენატორების ვიზიტი რა მიზანს ემსახურება, ხელისუფლების კონტროლს?

– ვერ გეტყვით, რისთვის ჩამოვიდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო დასავლეთთან ურთიერთობის პირობების შეცვლა, ჩვენ არ დავემორჩილებით თქვენს დირექტივებს და არ გვინდა თქვენი დახმარებაო. უნდა ითქვას, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი განაცხადია და ამას როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური მხარეც აქვს. შესაძლოა, სხვა ოპოზიციონერმა ეს არ გითხრათ, მაგრამ მე გეტყვით, კი, რაც უფრო შემცირდება ქვეყნის დამოკიდებულება დასავლეთის გრანტებსა და ვალებზე, რომელიც სრულიად არაეფექტურია და კორუმპირებულია, ეს მხოლოდ ჩვენი ადგილობრივი წურბელების გასიებას ხმარდებოდა, თუმცა არის მეორე მხარე და არის დიდი მაგრამ.

– მაგრამ რა?

– დახმარებაზე უარის თქმა ქვეყნის განვითარებისკენ უნდა მიანიშნებდეს. თავის დროზე, როდესაც პუტინი მოვიდა, ზუსტად ასე მოიქცა, დასავლეთს უარი უთხრა დახმარებაზე, თუმცა მათ ნავთობი ჰქონდათ და ამიტომაც გაბედეს დახმარებაზე უარის თქმა. საინტერესოა, ამათ რის იმედი აქვთ?! კობახიძემაც იგივე განაცხადა, მაგრამ მარტო განაცხადში ხომ არ არის საქმე! ვნახოთ, რამდენად შეძლებს საქართველოს მთავრობა, თავისი განაცხადი საქმეში გაატაროს. თუ ასე არ მოხდა და ბიუჯეტში ფინანსების კრიზისი შეიქმნა, ამას შესაძლოა მოჰყვეს ისეთი მოვლენები, როგორიც შევარდნაძის ვარდების რევოლუციას მოჰყვა.

– ანუ „ოცნება“ სერიოზულ რისკზე მიდის?

– რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზული რისკია. ახლა რომ კრიზისი შეიქმნას და ხელისუფლებამ ხელფასებისა და პენსიების გაცემა ვერ შეძლოს, ეს იქნება ის მომენტი, როდესაც სააკაშვილის რეიტინგი ივანიშვილისას დრამატულად გადაასწრებს.

– როგორია თქვენი პროგნოზი არჩევნებთან დაკავშირებით? გააქტიურდა გახარიაც, რომელმაც საკუთარი კანდიდატურა დააყენა თბილისში. ზოგადად რა მოლოდინები გაქვთ?

– კი, გახარიამ გადადგა ეს ნაბიჯი, თუმცა მისი კამპანია მაინც პასიურია. გახარიას შანსები, ვფიქრობ, გაზაფხულთან შედარებით საგრძნობლად არის შემცირებული და ის შარმი, რომელიც ჰქონდა და ის მოლოდინები, რომლებიც გაზაფხულზე არსებობდა, რომ გახარია მოვა, აშკარად არ არის. ის, რომ გახარია აიღებს სხვა ოპოზიციურ პარტიებზე მეტს, ნაციონალების გარდა, მოსალოდნელია, თუმცა, ციფრებში რომ გადავიყვანოთ ეს ყველაფერი, თუ გაზაფხულზე იყო მოლოდინი, რომ გახარია აიღებდა 20-დან 30%-მდე, დღეს არის მოლოდინი, რომ აიღებს 5-დან 7%-მდე.

– ანუ გახარიას შედეგი ორნიშნა ციფრი არ იქნება?

– ეს ძალიან რთული სათქმელია. ორნიშნა ციფრი როცა აქვს პარტიას, ის მართავს შეხვედრებს, რომლებსაც ათასობით ადამიანი ესწრება.

– წინასაარჩევნო კამპანიას ერთვის პანდემია და ესეც უნდა გავითვალისწინოთ...

– დღეს ეს ყველაფრიდან გამოსავალია. კარგი პოზაა, შეგიძლია, ყველაფერი პანდემიას დააბრალო. მე ვსაუბრობ იქიდან გამომდინარე, რაც ღიად ჩანს. როდესაც პარტიების მხარდაჭერა ორნიშნა პროცენტით გამოიხატებოდა, იმ პარტიების კამპანიები გრგვინავდა.

– დღეს ზოგადად ოპოზიცია პასიურობს, არავინ გამოირჩევა დიდი საარჩევნო კამპანიით.

– აბსოლუტურად გეთანხმებით, კი, ასეა. უბრალოდ, გახარიაზე მკითხეთ, მეც მასზე გავაკეთე აქცენტი. სხვებთან დაკავშირებით მოლოდინი არ არსებობდა და გახარიასთან დაკავშირებით ეს მოლოდინი დიდი იყო, რომ ის იქნებოდა გარდამტეხი. გახარიამ კი არ გადაწყვიტა ამ სიტუაციაში გარდატეხის შეტანა, არამედ თავადაც ამ დინებაში შევიდა. შესაძლოა, ასეთი ტაქტიკა აირჩია, რიგი გარემოებიდან გამომდინარე, ვნახოთ, გამოჩნდება, თუმცა მას გაცილებით მეტი რესურსი ჰქონდა.

– ანუ „ოცნება“ იმარჯვებს?

– გააჩნია, გამარჯვებას რას დავარქმევთ. პირველ ადგილს რომ „ოცნება“ აიღებს, ეს ისედაც მოსალოდნელია. აქ მნიშვნელოვანია, 43%-იან ნიშნულს გადასცდება თუ არა და გააყალბებს თუ არა არჩევნებს.

– კალაძისგან ელოდებიან გაცილებით მაღალ პროცენტს. ასე იქნება?

– კალაძემ შეიძლება აიღოს ბევრად მეტი, მაგრამ სწორედ ამიტომ ვთქვი, „ოცნებას“ მოკლევადიან პერსპექტივაში კი აქვს თავი ქუდში, მაგრამ გრძელვადიანში სერიოზული პრობლემები აქვს, მათ შორის კალაძესთან დაკავშირებით.

– ანუ თქვენც იზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ კალაძეც „ოცნებიდან“ წასასვლელადაა გამზადებული?

– რა თქმა უნდა, კალაძე რომ წამსვლელია „ოცნებიდან“, ეს უკვე ბანერებზე უწერია. რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი.

– კალაძის გუნდი საკრებულოშიო? და არა „ოცნების“...

– კი ბატონო, უკვე გადაწყვეტილია, რომ კალაძე არ იქნება ივანიშვილისა და მით უფრო კობახიძის „შნირი“ და ის აპირებს დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს. თითქმის 100%-ით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასე იქნება. კალაძესა და ივანიშვილს შორის შავმა კატამ უკვე გაირბინა. ეს ობიექტურიც არის. დღეს კალაძე, გახარია და მელია არიან ის პოლიტიკოსები, რომელთა პოლიტიკური აქტივებიც გაიზარდა, კალაძე კი იმ პარტიაშია, რომლის რეიტინგიც მკვეთრად ეცემა.

– არ ჩაჰყვება კალაძე „ოცნებას“ სამარეში?

– არ უნდა, რომ ჩაჰყვეს და ეს ჩვეულებრივი ამბავია. კალაძე თავის თავზე მუშაობს, „ოცნების“ სხვა ლიდერები კი სუფთა კლოუნებივით გამოიყურებიან. ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში საქართველო, რომელსაც კლოუნები განაგებენ. სხვებს ზოგს დიქტატორები ჰყავს, ზოგს – მონარქები და ზოგსაც – ლიბერალები. ჩვენს ქვეყანას კი განაგებენ კლოუნები. სამწუხარო კი ის არის, რომ ჯერჯერობით არც ოპოზიციაშია ისეთი სერიოზული ძალა, რომელიც ქვეყნის მართვისა და ამ სერიოზული პასუხისმგებლობის ასაღებად მზად არის. დღევანდელი ხელისუფლება სწორედ ოპოზიციის სისუსტეზე დგას.

„ოცნებას“ ვადამდელი არ უნდა“

ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილის ჩამოსვლას ნაკლებად ველი. ამისთვის ხელისუფლების შეცვლაა საჭირო“

იავო ნაცვლიშვილი

პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა დაიწყო და პირველი მოსმენით დაამტკიცა, თუმცა საბოლოო ცვლილებისთვის საჭიროა სამი მოსმენა. არსებობს ასეთი მოლოდინიც, რომ შესაძლოა „ქართულმა ოცნებამ“ ჩააგდოს ეს ცვლილებებიც და, თუ ვადამდელზე წასვლა მოუწევს, მაშინ ის არა ახალი – მთლიანად პროპორციული, არამედ 120/30-ზე სისტემით ჩაატაროს.

რას ფიქრობს აღნიშნულ ვერსიაზე და ელოდება თუ არა არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილს საქართველოში? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს.

– საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა მიმდინარეობს და ასეთი მოლოდინიც არსებობს, რომ შესაძლოა ჩააგდოს ეს ცვლილებები და შემდეგ დანიშნოს კიდეც ვადამდელი არჩევნები, რათა ძველი სისტემით ჩაატაროს. თქვენ თუ ელოდებით ასეთი სცენარის განვითარებას?

– გამორიცხული არაფერია, თუმცა რეალურად „ქართულ ოცნებას“ არ სურს ვადამდელი არჩევნების ჩატარება, ვინაიდან მისი რეიტინგი დაცემულია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გახარია წავიდა ოპოზიციაში. პარტია „საქართველოსთვის“ რეიტინგი 8-10%-ის ფარგლებშია და ძირითადად „ქართული ოცნების“ მომხრეების ხმები აქვს მას. ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს თავისი სტაბილური ამომრჩეველი და, შეიძლება ითქვას, რომ მმართველი პარტიის რეიტინგი დაცემულია.

თუ ვადამდელი არჩევნები ჩატარდა და ის გაიმართება პროპორციული სისტემის ფარგლებში, მაშინ ეს მას არ აწყობს. 2020 წელსაც კი პროპორციულ ნაწილში მან 50%-ც კი ვერ აიღო.

– ეს კი, მაგრამ, თუ საკონსტიტუციო ცვლილებები არ გატარდა, მაშინ ხომ რჩება მაჟორიტარული წესიც?

– კი ბატონო, რჩება, მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს შეთანხმება, რომ 2024 წლის არჩევნები ჩატარდება პროპორციული წესის ფარგლებში. რეალურად „ოცნებას“ არ აწყობს ვადამდელი არჩევნების ჩატარება. 120 დეპუტატი თუ აირჩევა პროპორციულით, ესეც კი არ აწყობს მას.

მეორე მხრივ, „ოცნება“ არ მიდის დათმობებზე და, შესაძლოა, ახლაც არ შეასრულოს შარლ მიშელის შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებები. თუმცა, ისიც გვახსოვს, რომ მას თავის დროზე მოუწია დათმობა და ამის შედეგად დარჩა 120 დეპუტატის არჩევა პროპორციული წესით.

ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ მე ვამბობ, რომ სურვილი არ აქვს „ქართულ ოცნებას“, დანიშნოს ვადამდელი არჩევნები.

– შესაძლოა, ბევრი რამის სურვილი არ ჰქონდეს, მაგრამ რეალობის გათვალისწინებით ვსვამ ამ კითხვას: ხომ არ წავა ამაზე, გეგმა ბე ხომ არ არის ეს და ამიტომ ხომ არ ითრევს ფეხს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით?

– კი ბატონო, ესეც არ არის გამორიცხული, რომ ფეხს ითრევდეს, მიუხედავად იმისა, რომ იცის, არსებობს დაპირება, რომ 2024 წელს არჩევნები წმინდა პროპორციული წესით ჩატარდება, თუმცა „ოცნება“ ჩაებღაუჭება

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილი მელიას ებრძვის“

დავით ჭიჭინაძე: „ხალხს ისე არ უნდა ელაპარაკო, როგორც წულუკიანი და კობახიძე ელაპარაკებიან“

ნათია ხურცილავა

პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, ამ არჩევნებზე 1%-ც რომ ავიღოთ, არავითარი რიგგარეშე არჩევნები არ იქნებამ ოპოზიცია გამოვა ქუჩაში და ისევ შევა სახლშიო. თვითდაჯერებულები არიან?

– თვითდაჯერებულები რომ იყვნენ, 1%-ზე არ ისაუბრებდნენ. რიგგარეშე არჩევნები არც კობახიძეზეა დამოკიდებული და არც არავისზე. ეს ხალხზეა დამოკიდებული. დღეს ხალხს ბრძოლა არსებობისთვის უწევს და არა ცხოვრების დონის ამაღლებისთვის. „ქართულმა ოცნებამ“ ქართველი ხალხი არსებობისთვის გაწირა და არა კეთილდღეობის მოპოვებისთვის. ამიტომ კობახიძემ უნდა იცოდეს, რომ ბრძოლა საკმაოდ დაუნდობელი იქნება. რეფერენდუმი შედგება. მის შედეგებს გაითვალისწინებს კობახიძე თუ არა, ეს სულაც არ არის მნიშვნელოვანი. ის გადამალული ჰყავთ სხვებთან ერთად. გუნდის შიგნითაც ხვდებიან, რომ ხალხს ისე არ უნდა ელაპარაკო, როგორც წულუკიანი და კობახიძე ელაპარაკებიან. სიძულვილს თესავენ და სიძულვილსვე მოიმკიან. ჯიუტად გვეუბნებიან, ხელისუფლებაში გვინდა ყოფნაო. არჩევნებში შედეგებს ვინც დებდა, ივანიშვილი და გახარია იქ აღარ არიან და ვინ უნდა დადოს შედეგი?!

– გასაგებია, ალტერნატივის საკითხი დგას რეალურად. სააკაშვილის განცხადება ამ პროცესს წაადგება ან, პირიქით, დააზიანებს?

– სააკაშვილის მიზანია, შექმნას განცდა, რომ ის არის ალტერნატივა. არადა, ასე არ არის. სააკაშვილი ამ ქვეყანას პერსპექტივას ვერ შეუქმნის. თუ კობახიძის ალტერნატივად განიხილავს საკუთარ თავს, ღმერთმა ხელი მოუმართოს. ერთი პოლიტიკური ძალა, თან, პირდაპირ გეტყვით, ნაციონალური მოძრაობა ვერ იქნება ალტერნატივა. მე ვერ ვხედავ მათში ამ რესურსს. ერთპარტიული, ერთ ადამიანზე დაყრდნობილი მართვა, კი ვნახეთ, რაც არის. სათითაოდ არიან მოსაძებნი ადამიანები, პროფესიონალები, ყველა საჭირო ადამიანი, რიგითი ადამიანები თავიანთი გამოცდილებით ჩართული უნდა იყვნენ ამ პროცესში.

– იქნებ რიგითად უნდა ჩართვა?

– წარმოუდგენელია. სააკაშვილს სხვისი აზრის მოსმენა არ შეუძლია. ნაციონალურ მოძრაობას ახალი ლიდერი ჰყავს, საყოველთაოდ არჩეული. როგორც ჩანს, მას ებრძვის.

– სააკაშვილის ამ განცხადებაზე მოვისმინე, რომ ივანიშვილის მაშველი რგოლია, რომ აქტუალობა დაკარგა და თავი შეახსენა საზოგადოებას.

– პირველ რიგში, ამ განცხადებით ნიკა მელიას ებრძვის, რომელიც დღეს მართლაც არის ლიდერი, რომელიც იბრძვის ცვლილებებისთვის, თუნდაც საკუთარი თავისუფლების ფასად. თუ ბრძოლა უნდა, ჩამოსულიყო და რიგით ჯარისკაცად ებრძოლა. რა შეგვჭამა ციხით. მელია წავიდა ციხეში და გამოვიდა. ჩამოსულიყო, წასულიყო ციხეში, ჩაერთვებოდნენ დასავლელი პარტნიორები და გამოიყვანდნენ, მაგრამ ვერ ბედავს. არადა, უნდა, სულ თვითონ იყოს აქცენტირებული. ხალხში არ არის იმ კაცის მოთხოვნილება, რომელსაც ხალხის თავისუფლებისთვის საკუთარი თავისუფლების გაწირვის ეშინია. ნაციონალურ მოძრაობას შიგნითვე ჰყავს მე-5 კოლონა, რომელიც ნიკა მელიას ლიდერობას ებრძვის. ხელისგულზე დევს ეს ყველაფერი. იგივე არ ხდება „ქართულ ოცნებაში“?! ივანიშვილი იმავეს არ აკეთებს?! კობახიძეა არჩეული თავმჯდომარე. მაშ, რა გამოდის, რით განსხვავდება „ქართული ოცნებისგან“?! შეუძლებელია, სააკაშვილი იყოს საყოველთაო ოპოზიციის ლიდერი.

– ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არ იგრძნობა ცვლილებების ის განცდა, რომელიც 2012 წელს ხალხში იგრძნობოდა.

– ახლოსაც არ არის.

– რატომ?

– ოპოზიციამ ხალხს ვერ შესთავაზა ვერაფერი. ხალხმა ამ ხელისუფლებას დიდი ხნის წინ, 2019 წლის 20 ივნისის შემდეგ შეუწყვიტა მანდატი, მაგრამ ოპოზიციამ ამის გაფორმება ვერ შეძლო. ოპოზიციის ნახევარზე მეტი ხელისუფლების სიახლოვეს ცდილობს კომფორტულად ყოფნას. ოპოზიციის ეს ნაწილი ხალხისთვის ცნობილია. გამოდის, ჯერ აქ არის წითელი ხაზი გასავლები, ვინ არის ოპოზიცია და ვინ – არა.

ხალხი თუ რადიკალური ნაბიჯებისთვის არ იქნება მზად და, როგორც 2012 წელს იყო მზად, სიცოცხლის ფასად დაეცვა საკუთარი არჩევანი, საკუთარი ხმა, არაფერი გამოვა. ბევრი ოპოზიციონერი, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ექსკლუზიურობას იჩემებენ, საკუთარ სარგებელს უფრო ეძებენ, ვიდრე ქვეყნისას. გაზაფხულზე დაწყებული გამოსვლები აყალიბებდა ცვლილებების გუნდს ნიკა მელიას ხელმძღვანელობით, მაგრამ შეტევა მოხდა როგორც ყოფილი, ისე მოქმედი ნაციონალების მხრიდან, სააკაშვილს ვგულისხმობ.

2 ოქტომბრის შედეგი ბევრწილად ნიკა მელიას შედეგზეც იქნება დამოკიდებული. თუ მაღალი იქნება მისი მაჩვენებლები, ეს უკვე რადიკალური ცვლილებების დაწყების ნიშანი იქნება. რაც შეეხება კობახიძესა და „ოცნებას“, მათ საბოლოო განაჩენს გახარია გამოუტანს.

პარლამენტმა პირველი მოსმენით საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო

პარლამენტმა 126 ხმით ერთხმად, პირველი მოსმენით, კონსტიტუციურ კანონში დაგეგმილი ცვლილებები მიიღო.

მმართველი უმრავლესობის ინიციატივით და გადაწყვეტილებით, პროექტს იმ პუნქტის გარეშე ეყარა კენჭი, რომელიც გენერალური პროკურორის კვალიფიციური უმრავლესობით – პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედით არჩევას ითვალისწინებს.

პირველი მოსმენით მიღებული კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტით, ცვლილება კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებში აისახება, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი ნორმები დროებითი ხასიათის იქნება და მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტისთვის იმოქმედებს.

პროექტის მიხედვით, პარლამენტის მომდევნო ორი არჩევნების საფუძველზე, პარლამენტის წევრთა მანდატები იმ პოლიტიკურ პარტიებზე განაწილდება, რომლებიც ხმების 2%-ს მიიღებს.

საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება, ხოლო ე.წ. გაუნაწილებელი მანდატები უდიდესი ნაშთის მქონე პარტიებს დარჩება. ამავე ცვლილებებით, მომდინარე და მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტში ფრაქციის წევრთა რაოდენობა ოთხზე ნაკლები არ უნდა იყოს.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი 91 პარლამენტარის ინიციატივაა.

ვაქცინირებულთათვის ლატარიის გათამაშება იწყება

ლატარიის ფონდი 3 მილიონ ლარამდეა

მომავალი კვირიდან დაიწყება ვაქცინაციის წამახალისებელი ლატარია.

აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ გუშინდელ, 7 სექტემბრის, სხდომაზე მიიღო, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა. ვაქცინაციის წამახალისებელი ლატარია, რომლის საპრიზო ფონდი 2.800.000 ლარს შეადგენს, 13 სექტემბრიდან დაიწყება და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ფულადი ჯილდოები გათამაშდება როგორც ერთჯერადად, ისე ორჯერადად ვაქცინირებული პირებისთვის.

გათამაშებები ჩატარდება როგორც ყოველდღიურად, ასევე ყოველკვირეულად.

ლატარიაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ერთჯერადად აცრილ მოქალაქეს, როგორც 2021 წლის 1 სექტემბრამდე ვაქცინირებულებს, ასევე 2021 წლის 13 სექტემბრის შემდეგ. ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ლატარიის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა.

– ლატარია გაიმართება ყოველდღიურად, ყოველკვირეულად და ასევე იქნება შემაჯამებელი გათამაშება. მინიმალური მოგება იქნება 100 ლარი, ხოლო მაქსიმალური 100.000 ლარი. ყოველდღიურად გათამაშდება დაახლოებით 160 პრიზი. ასევე ყოველკვირეული გათამაშების მოგებული პირები გვეყოლებიან და შემაჯამებელი გათამაშება გაიმართება „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირდაპირ ეთერში, სადაც უკვე დოლურაში მოთავსდება ყველა ლატარიის ბილეთი და იქიდან გამოვლინდება ერთი გამარჯვებული პირი.

ლატარიაში მონაწილეობა ხდება შემდეგი სახით, როდესაც მომხმარებელს მიენიჭება ენსიდისის მიერ ჯავშნის კოდი, რომელსაც სტატუსი ექნება აცრილი, ის ავტომატურად მონაწილეობას მიიღებს აღნიშნულ ლატარიაში. დღეს დარეგისტრირებული მომხმარებელი, რომელიც აიცრება, მონაწილეობას მიიღებს მომდევნო დღის გათამაშებაში.

გათამაშების შედეგები გამოვლინდება დღის 12 საათზე, ხოლო რაც შეეხება ყოველკვირეულ გათამაშებებს, ყოველ ორშაბათ დღეს, ყოველი დღის გათამაშების დასრულებისთანავე იქნება გამოვლენილი, – განაცხადა ქეთევან ხუციშვილმა. მისივე თქმით, მოგების შესახებ მოქალაქეები ინფორმაციას სპეციალურად შექმნილი ვებგვერდის საშუალებით მიიღებენ. ასევე მათ ჯანდაცვის სამინისტროდანაც დაუკავშირდებიან.

„სააკაშვილი „ქართულ ოცნებას“ კიდევ ერთ საჩუქარს უკეთებს“

გიგა ბუკია: „თუ „ოცნებამ“ არჩევნებში 40%-ზე ნაკლები მიიღო, სააკაშვილს თვითმფრინავს თვითონ გაუგზავნის“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს გიგა ბუკიას.

– არაერთხელ გივარაუდიათ, რომ 2 ოქტომბრის არჩევნების წინაც მკვეთრი ორპოლუსიანობა იქნებოდა და დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დადგებოდა სააკაშვილის ჩამოსვლა-არჩამოსვლის საკითხი. მართლაც, სააკაშვილმა პირობა დადო, რომ 2 ოქტომბრისთვის აქ იქნება. რას იტყვით?

– ეს ბუნებრივია. „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა მოსატყუებლად ერთმანეთს ებრძვიან. სინამდვილეში, ისინი ერთმანეთს კვებავენ და აძლიერებენ. „ქართული ოცნება“ სააკაშვილის დაბრუნების შიშის გამოყენებით მუდმივად ახდენს საზოგადოების მობილიზებას. ახლაც ასე მოხდა. ირაკლი კობახიძემ არ დამალა და ღიად თქვა, სააკაშვილმა თავისი განცხადებებით 7% მოგვიმატაო.

– თქვენც ასე ფიქრობთ?

– მე ვიტყოდი, რომ სააკაშვილი „ქართულ ოცნებას“ კიდევ ერთ საჩუქარს უკეთებს და ხონჩით აწვდის ძალაუფლებას. „ქართული ოცნება“ ამ საჩუქარს სიამოვნებით იღებს. წინა წლებშიც იღებდა, ახლა კი უფრო გაუჭირდა, განსაკუთრებით – პარტიულ ნაწილში. „ოცნებას“ პრობლემები განსაკუთრებით მაშინ შეექმნა, როცა მას ბიძინა ივანიშვილი ჩამოსცილდა, მოგვიანებით კი პარტია და თანამდებობა დატოვა გიორგი გახარიამაც.

– რას ელით 2 ოქტომბრის შემდეგ?

– „ქართულ ოცნებას“, როგორც გითხარით, პარტიულ ნაწილში ძალიან გაუჭირდება. კანონმდებლობით, პარტია, რომელიც 40%-ზე ნაკლებს იღებს, ვერ ქმნის უმრავლესობას. თუ „ოცნებამ“ არჩევნებში 40%-ზე ნაკლები მიიღო, თვითონ გაუგზავნის თვითმფრინავს სააკაშვილს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ შეინარჩუნოს ძალაუფლება და მსოფლიოს თვალში გამოჩნდეს ნაციონალურ მოძრაობაზე უკეთესი. არავისთვის არაა დასამალი, რომ ნაციონალურ მოძრაობას ქვეყნის ფარგლებს გარეთ აღიქვამენ დესტრუქციულ, არაპროგნოზირებად ძალად. „ქართული ოცნებაც“ შემჩნეულია დაპირებების შეუსრულებლობაში, მაგრამ ნაცმოძრაობა აშკარად დესტრუქციული პარტიაა. სააკაშვილი ნაციონალურ მოძრაობას ვერ შველის. თვითონ სააკაშვილს ძალიან არასერიოზულად და უნდობლად უყურებენ. ეს საქართველოშია სააკაშვილი გაპიარებული, თორემ უცხოელებმა მისი ნამდვილი ბუნება დიდი ხანია გაიგეს. თუ „ვარდების რევოლუციის“ დროს სააკაშვილი მისაღები გახდა, ახლა ის მიუღებელია. „ოცნება“ ეცდება, გამოიყენოს სააკაშვილის თვისებები და მის ფონზე ნაცმოძრაობაზე უკეთესად გამოჩნდეს.

– რას იტყვით მიშელის დოკუმენტზე? ამჟამად მას გაემიჯნა „ქართული ოცნება“, ნაცმოძრაობა კი შეუერთდა.

– ამ დოკუმენტში შეტანილი ყველა პუნქტის შესრულება არც „ოცნებას“ უნდა და არც ნაცმოძრაობას. მაგალითად, სრულად პროპორციული საპარლამენტო არჩევნები არც „ოცნებას“ უნდა და არც ნაცმოძრაობას.

> **„სრულად პროპორციული არჩევნები არც „ქართულ ოცნებას“ უნდა და არც ნაციონალურ მოძრაობას“**

– რატომ?

– პროპორციულ სისტემას ახლავს კოალიციური მმართველობა, რაც არც ერთ მათგანს არ აწყობს. როგორ წარმოგიდგენიათ სააკაშვილის მონაწილეობა კოალიციაში? ეს წარმოუდგენელია. არც ახლანდელ მმართველ პარტიას სურს ვინმესთან ძალაუფლების გაყოფა. პოლიტიკურ ნაწილში ეს ორი ძალა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. სააკაშვილი ძალაუფლებას ინარჩუნებდა ხალხის ხოცვით, წამებით, სულის ამოხდომით. „ოცნება“ ამას არ აკეთებს. ის უფრო დახვეწილ მეთოდებს არჩევს და თავისი ხრიკებითა და სიცრუით ებღაუჭება ძალაუფლებას. სხვათა შორის, ის ადამიანები, რომლებიც ორიოდე წლის წინ პარლამენტში „აჯანყდნენ“ და ხმა არ მისცეს პროპორციულ სისტემას, ახლაც საკანონმდებლო ორგანოში არიან. ბევრ ადამიანს მათთან შეკითხვები გვაქვს. საინტერესოა, როგორ მოიქცევიან ახლა, ბოლომდე დაუჭერენ თუ არა პროპორციულ სისტემას მხარს?

– არ გამორიცხავთ ახალ „ამბოხებას“?

– სანამ ამ ცვლილებებს სამივე მოსმენით არ დაამტკიცებენ და სანამ ამას ხელი არ მოეწერება, არ დავიჯერებ, რომ პროპორციული არჩევნები იქნება. ჩვენმა პარტიამ, კონსერვატორებმა, სწორედ ამ პირობის დარღვევის გამო დავტოვეთ უმრავლესობა. ეს საკითხი 2016 წლიდანაც განიხილებოდა. მაშინ ნაციონალური მოძრაობა კენჭისყრაში საერთოდ არ მონაწილეობდა. ამიტომ ვამბობ, პროპორციული არჩევნები არც „ოცნებას“ უნდა და არც ნაციონალურ მოძრაობას.

– ისევ აქტუალური გახდა 5-6 ივლისს მომხდარი მოვლენები. საკითხს სახალხო დამცველიც ეხმაურება.

– ეს ამბები შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ. მათი ფუნქციაა იმის დადგენა, თუ ვინ რას აშავებდა ამა თუ იმ მხარეს. სახალხო დამცველისგან ვინმეს დასჯისკენ საჯაროდ მოწოდება უცნაურია. სახალხო დამცველი საკუთარ მოვალეობებს გასცდა. თუ ნინო ლომჯარიას ვინმეზე რაიმე მასალა აქვს, ისინი შესაბამის უწყებებს უნდა გადასცეს. არ არის აუცილებელი ამაზე საჯარო განცხადებების გაკეთება. ის, რასაც სახალხო დამცველი აკეთებს, არის თავხედობა და სახელმწიფო ინსტიტუტების უპატივცემულობა. მოგწონს ეს ინსტიტუტები თუ არა, მათ თავზე ლაფი არ უნდა დაასხა.

„ნაცები არჩევნებამდე რაღაც სიურპრიზს შემოგვთავაზებენ“

დათო ლორთქიფანიძე: „სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების ამსახველი მასალის განადგურება სამართლებრივად სწორი არ იყო“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, ნახეთ, ნაცმოძრაობამ პოლიტიკური თამაშების რა „კლასი აჩვენა“? თვეების შემდეგ მოაწერა ხელი შარლ მიშელის დოკუმენტს.

– ეგ არის უპასუხისმგებლობის მაღალი პილოტაჟი. თუ უნდოდათ ხელის მოწერა, მაშინვე უნდა მოეწერათ, როცა ეს დოკუმენტი შედგა.

– ამ ხელის მოწერით პოლიტიკური დივიდენდები ვერ მოიპოვეს?

– მათ მხოლოდ ასე ჰგონიათ. ახლა ანულირებულ დოკუმენტზე ხელმოწერა არავითარი დივიდენდების მომტანი არ არის. ევროპარლამენტარებმა, ამერიკის გავლენიანმა პოლიტიკოსებმა განმარტეს, რომ მათი ხელმოწერა დაგვიანებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ეს არის ნაცმოძრაობის პრობლემა და ნამდვილად არ მინდა, ნაცმოძრაობის პრობლემებზე ვისაუბრო.

– როგორ ფიქრობთ, ასე გვიან ხელი რატომ მოაწერეს, უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ სხვის დაკრულზე არ ცეკვავენ და, როცა მოუნდათ, მაშინ მოაწერეს?

– ახლა ჩათვალეს, ვითომ პოლიტიკური, რელევანტური მომენტი დადგა. საუბარია ევროკავშირის სესხთან დაკავშირებით მმართველი პოლიტიკური ძალის პოზიციაზე, რომელმაც განაცხადა, დამატებით სესხს აღარ ავიღებო. იფიქრეს, სასურველი მომენტი დადგა იმის სპეკულირებისთვის, რომ თითქოს ყველაფერი მიმართულია სახელმწიფოს კურსის ცვლილებისკენ, ანუ წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, დაახლოებით ასეთი პოზიცია დაიკავეს,

თითქოს მიზეზი იპოვეს. ამას ჩვენს ბავშვობაში „სალდატსკაია პრიჩინას“ ვეძახდით. ამ საკითხებისადმი მათი მიდგომა სრულიად არასერიოზულია.

– წინასაარჩევნოდ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ძველი, 10 წლის წინანდელი უკანონო ჩანაწერები გამოჩნდა. რატომ ხდება დარტყმა ბიძინა ივანიშვილზე ახლა, როდესაც გაანაცხადა, რომ პოლიტიკიდან წავიდა? რატომ აფრიალებენ 10 წლის წინანდელ რაღაც ჩანაწერებს, ეს მათ რას აძლევთ?

– ეს ჩანაწერები რამე ფასეული რომ ყოფილიყო, ჯერ კიდევ 2012 წელს გამოაქვეყნებდნენ, რადგან 2008 წლის ომის შემდგომ გაკეთებული ჩანაწერია. უნდათ, რაღაც ხმაური გამოიწვიონ და ფიქრობენ, ბიძინა ივანიშვილის სახელის გაჟღერება თანდართული სენსაციებით დიდ ვნებათაღელვას გამოიწვევს. ამიტომ გამოაჩინეს ეს ჩანაწერი, თუმცა მას არანაირი შინაარსობრივი დატვირთვა არ აქვს.

– ისე, ბიძინა ივანიშვილი ხომ არის ღირსი (ნაცები რასაც გვასმენინებენ), ამ ჩანაწერებით გაკეთებული პიარისტული განცხადებები ისმინოს. ხომ შეეძლო, მაშინ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულზე, რასაც ჰქვია უკანონო და ადამიანის უფლების შემლახავი ჩანაწერების გაკეთება, პასუხი მოეთხოვა ისე, რომ ნაცებს ვეღარ გაებედათ უკანონო ჩანაწერების გამოქვეყნება, თუნდაც ისეთი კანონის მიღებით, რომელიც ასეთი ჩანაწერების გამოქვეყნების პრევენციას მოახდენდა?

– ერთადერთი, რაც ამ ჩანაწერის გამოქვეყნებით მიაღწიეს, ისაა, რომ ამ ჩანაწერით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, ოდითგანვე ყველასა და ყველაფერს რომ უსმენდნენ. ეს კი, საბოლოო ჯამში, უფლებას მაძლევს (ამას გულისტკივილით ვამბობ), ვთქვა: ახია ჩვენზე, ესენი ჯერ კიდევ რომ ბედავენ ასეთი ჩანაწერების გამოჩენას, ამაზე განცხადებების გაკეთებას, ასეთი „სენსაციების“ გამოცხობას. მათ საზოგადოება სკლეროზიანი და გონებაშეზღუდული ჰგონიათ. არადა, ხალხს არაფერი დავიწყებია. 10 წლის წინანდელი ჯოჯოხეთი გვახსოვს. გუშინდელ დღესავითაა. ადამიანებს არ მოუშუშებიათ ძალიან მტკივნეული იარები, რომლებიც ნაცებმა მიაყენეს.

გასაგებია, ისინი რასაც აკეთებენ. მათ გარკვეული ელექტორატი ჰყავთ, რომელიც მხარდამჭერად რჩება. რატომ ვერ გააცნობიერა ამ ხალხმა, რეალურად ვისთან აქვს საქმე. ეს არის პრობლემა.

– წინასაარჩევნოდ გამოაჩინეს.

– მაგათ ხომ მეტი არაფერი აქვთ სათქმელი.

– კიდევ თუ ელოდებით უკანონო აუდიო ან ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნებას?

– მაგათგან „სიურპრიზებს“ კიდევ ველოდები.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მათი ხელისუფლებისკენ ლტოლვა დაუოკებელია, მათი ბოროტების ფანტაზია კი – განუსაზღვრელი. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, არჩევნებამდე კიდევ რაღაც სიურპრიზი შემოგვთავაზონ, რომელიც ჭეშმარიტებასთან ახლოსაც არ იქნება, მაგრამ შეეცდებიან, სიურპრიზის სახე მისცენ.

ისე შემოგვთავაზებენ, თითქოს ქვეყანა ჩამოინგრა. რეალურად, კარგად თუ ჩავუკვირდებით და გავაანალიზებთ, ხელში არაფერი შეგვრჩება.

– თქვენ პარლამენტის წევრი იყავით და მეტი ინფორმაცია გაქვთ. მათ ჩანაწერების ასლები ჰქონდათ გაკეთებული, საზღვარგარეთ გატანილი და ახლა უგზავნის ვინმე? ჩანაწერები ხომ განადგურდა.

– ეს უკანონო და ადამიანის უფლებების შემლახავი ჩანაწერები აღმოჩენილ იქნა მაშინ, როდესაც ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით – თითქმის 8 თვის, ერთი წლის თავზე. ეს იყო წლების განმავლობაში გაკეთებული ჩანაწერები.

როგორ გგონიათ, წინა ხელისუფლებიდან ვინმე იმ მომენტს ხელიდან გაუშვებდა, რომ ჩანაწერების ასლები არ გაეკეთებინათ? რაც განადგურდა, განადგურდა. მე მაშინაც ჩანაწერების განადგურების წინააღმდეგი ვიყავი. თუ არ ვცდები, 5 მარტს პარლამენტის სხდომაზე განვაცხადე, რომ ამ ჩანაწერების განადგურება სწორი არ იქნებოდა, რადგან ჩვენ სამართლებრივ საფუძველს ვიცლიდით ხელიდან შემდგომ ამ ჩანაწერების გამო სამართლებრივი დევნის დაწყების დროს.

– ჩანაწერებთან დაკავშირებით 7-8 კაცი დაისაჯაო. ჩანს, ეს საკმარისი არ იყო.

– როდესაც აისბერგის წვერს რაღაცას მოაციცქნი, ეს არაფერს ნიშნავს. ძალიან სერიოზული სისტემური დანაშაულის უმძიმესი გამოვლინება იყო, რაც საზოგადოებას უნდა სცოდნოდა, მათ შორის, ჩვენს უცხოელ პარტნიორებს. ამას ვითვალისწინებდი, როდესაც პარლამენტის ტრიბუნიდან განვაცხადე, რომ აუცილებელი იყო, ეს ფირები ღამის საათებში ჩვენი საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ, ოღონდ უნდა ყოფილიყო დაშტრიხული, რომ ვისზეც ძალადობდნენ, მათი იდენტიფიკაცია არ მომხდარიყო. ელემენტარულად, საზოგადოებას უნდა სცოდნოდა. ვისთან ჰქონდა საქმე. გარწმუნებთ, ეს პოლიტიკური ძალა, მინიმუმ, ასეთი მაღალი ტემბრით ლაპარაკს ვეღარ შეძლებდა, მაქსიმუმ, ქართული პოლიტიკის რადარებიდან გაქრებოდა.

– თქვენ თუ გისმენდნენ?

– დარწმუნებული ვარ, მეც მისმენდნენ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში მოსვლამდე. ძალიან აქტიური ვიყავი პოლიტიკაში და, ღრმად ვარ დარწმუნებული, მისმენდნენ. ამას მხოლოდ მინიშნებებზე დაყრდნობით არ ვამბობ. ამას ვგრძნობდი. შევეცადე, ჩემი მოსმენის ფაქტი აღმოფხვრილიყო.

– ანუ თქვენზე უკანონო ჩანაწერები იყო?

– სხვათა შორის, ერთ-ერთი აქციის შემდეგ, რომელიც ჩატარდა ქალაქ თბილისის პოლიციის სამმართველოსთან...

– 6 მაისს თვალები რომ დასთხარეს ადამიანებს პლასტიკური ტყვიებით, რომლებიც იმ დროს კანონით აკრძალული იყო?

– დიახ, თვალები რომ დასთხარეს ადამიანებს, მაშინ სასწაულით გადავრჩით. არავინ იცოდა, მე თუ იქ უნდა ვყოფილიყავი ან მივსულიყავი. ჩემს მეუღლეს დაურეკეს სახლში, ქალაქის ტელეფონზე და უთხრეს, აქციაზე არ მივიდესო. ჩემს მეუღლეს ძალიან გაუკვირდა. მაშინ ნომრის ამომცნობი ტელეფონი მქონდა, მობილურები ამდენად არ იყო გავრცელებული, როგორც დღეს. ხალხის გარკვეული ნაწილი ქალაქის ტელეფონით სარგებლობდა.

– ვინ რეკავდა?

– მაშინ ამის შესახებ მივმართე საქართველოს პროკურატურასა და სახალხო დამცველს. პროკურატურაში ოფიციალურად განცხადება შევიტანე. ეს საქმეც თაროზეა შემოდებული. მაშინ პროკურატურამ დაიწყო საქმის გამოძიება. რა გამოძიება უნდოდა, ნომერი მე მივაწოდე, რომელი ნომრიდანაც დარეკეს. მითხრეს, რომ თემქაზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი ბინიდან დაირეკა, სადაც ბოლო 15 წელი არავის უცხოვრია. 15 წელი თუ არავინ ცხოვრობდა, ვინ დარეკავდა? სულები ხომ არ დამირეკავდნენ?

– ბოლოს და ბოლოს გაირკვა, ვინ დაგირეკათ?

– ასეთ ნომრებს იყენებდნენ მაშინდელი ძალოვანი სტრუქტურები. ამ ნომრებით ისინი სარგებლობდნენ. ფაქტია, რომ ჩემი სახლის ტელეფონის ნომერზე დაირეკა.

– ეს საქმე დღეს მაინც რატომ არის თაროზე შემოდებული?

– უიმედო საქმეა, რადგან იმ ნომრიდანაა დარეკილი, სადაც იმ დროისთვის ბოლო 10-15 წლის განმავლობაში არავინ ცხოვრობდა. შემდეგ მე პირადად გადავამოწმე. იქ ვიყავი, მეზობლებს ვესაუბრე და ის სახლი ნამდვილად დაკეტილი იყო თითქმის 10 წელი. ამიტომ მაგის მოძებნა წარმოუდგენელია.

– იმის გამოძიება ხომ შეიძლება, ვინ შეძლო ასეთი ნომრიდან დარეკვა? ვის შეეძლო დარეკვა, თუ არა სპეცსამსახურებს ან ძალოვნებს.

– დარეკვას რა უნდა. ვინც სპეციალური ტექნიკა იცის, ელემენტარულად მიხვდება, რაც არის. შეუძლიათ, ქალაქში ტელეფონის ჯიხურებიდან დარეკონ, საიდანაც ხდება მართვა. გადამყვანებით შეუძლიათ დააერთონ და დარეკონ.

– რას ელოდებით მომავალში? შეიძლება, რამე პრევენციული ზომა იქნეს მიღებული, ვთქვათ, კანონის დონეზე, რომ ძველი ჩანაწერებით ადამიანებს არ აშანტაჟებდნენ?

– არ გამოვრიცხავ. ძალიან ცუდი განცდა მაქვს, რადგან ვფიქრობ, ბევრ ადამიანზე ამით მანიპულირებენ, სამწუხაროდ. არიან ადამიანები (გვარისა და სახელების თქმა არ მინდა), რომლებიც რეალობაში ძალიან არაადეკვატურად იქცევიან. მე ვსაუბრობ იმ ადამიანებზე, რომლებსაც რამდენიმე ათეული წელია ვიცნობ. მათ მენტალობასა და ფსიქიკაში რაღაც არაადეკვატურობა ჩანს. ისინი არაადეკვატურად იქცევიან.

– ჩანაწერების გამოქვეყნება ბიძინა ივანიშვილის დაშანტაჟებას ხომ არ ნიშნავს? შეიძლება, სხვა ჩანაწერებიც არსებობს და ამით მიანიშნეს, თუ არ გაჩერდები ან შენს პარტიასთან ერთად პოლიტიკიდან არ წახვალ, გზას არ დაგვითმობ, კიდევ ბევრ ჩანაწერს გამოვაჩენთო.

– ამას უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის დაშანტაჟებას ნუ დავარქმევთ. მოდით, ამას დავარქვათ ყველა იმ ადამიანის წინააღმდეგ შანტაჟის ფორმა, რომლებსაც წონიანი სიტყვის თქმა შეუძლიათ.

– ვისაც ნაცების წინააღმდეგ წონიანი სიტყვის თქმა შეუძლია, მათი დაშანტაჟების ფორმაა?

– ჰო, მათ შორის, მათ წინააღმდეგ შანტაჟის ფორმაა, ვისაც რაღაც პოზიციის დაფიქსირება შეუძლია, ვისაც საზოგადოება იცნობს, ვის სიტყვასაც წონა აქვს. ამ საშიშროების ქვეშ მეც ვარ, მაგრამ სულ არ მაინტერესებს, ჩემზე ნაცები რას იტყვიან და რას დაწერენ.

– ყველას მიმართ აქვთ შემონახული უკანონო ჩანაწერები?

– რა თქმა უნდა.

– და ყველა პოტენციური შანტაჟის ობიექტი შეიძლება აღმოჩნდეს?

– ეჭვიც არ მეპარება. აბა, თქვენ როგორ გგონიათ, რა ჩანაწერებიც ჰქონდათ, ღარიბაშვილს მიუტანდნენ, რომელიც მაშინ შს მინისტრი იყო? სხვათა შორის, კახა კახიშვილსაც ის პოზიცია ჰქონდა, რომელსაც მე მხარს ვუჭერდი. კერძოდ, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების ამსახველი მასალის განადგურება სამართლებრივად სწორი არ იყო. გგონიათ, რა ვიდეო და აუდიო მასალაც იყო, ყველაფერს ღარიბაშვილს მიუტანდნენ? რა თქმა უნდა, არა.

„ოცნებას“ ვაღამდელი არ უნდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

30 მაჟორიტარს, ყოველ შემთხვევაში, ეს გამორიცხული არ არის, რათა ამ გზით შეინარჩუნოს ძალაუფლება, ანუ მას დღეს მოქმედი სისტემა უფრო აწყობს.

– იმ ფონზე, როდესაც ნაციონალური მოძრაობა შეუერთდა შარლ მიშელის დოკუმენტს, ამ დროს „ოცნება“ ამნისტიის პროექტის განხილვას დაუბრუნდა და ამბობენ, გამოჩნდება, რამდენად რეალურად შეუერთდა ნაცმოძრაობა. ამ შემთხვევაში რა უნდა გააკეთოს ენმ-მ, მოუწევს მხარის დაჭერა?

– მე ასე მგონია, რომ აქაც დათქმა ექნება ნაციონალურ მოძრაობას და უპირობოდ არ დაუჭერს მხარს. აქ საუბარი იქნება იმაზე, რომ მათზე, ვინც მონაწილეობა მიიღო 20 ივნისის სისხლიან დარბევაში, არ გავრცელდეს ამნისტია. მგონია, რომ ნაცმოძრაობას ექნება თავისი მოთხოვნები.

– თუმცა შეთანხმებაში ჩაწერილია ეს პუნქტი და მაშინ რანაირად გამოდის დოკუმენტზე შეერთება?

– კი, მაგრამ დათქმებიც შეიძლება არსებობდეს. ყოველ შემთხვევაში, ნაცმოძრაობა იბრძოლებს ამ მიმართულებით. მე ასე მგონია, რომ აქცენტს ამაზე გააკეთებს, ისევე, როგორც მანამდეც ჰქონდა ეს მოთხოვნა, რომ არ უნდა გავრცელებულიყო ამნისტია იმ ადამიანებზე, რომლებმაც დარბევაში მონაწილეობა მიიღეს.

– ამის გამო არ შეუერთდა თავის დროზე დოკუმენტს, მაგრამ დღეს „ოცნება“ ამას არ გამოიყენებს სათავისოდ?

– „ოცნება“ ყველაფერს გამოიყენებს, მით უმეტეს, უმრავლესობას ინარჩუნებს პარლამენტში.

– ამ შემთხვევაში რიტორიკის თვალსაზრისით ვკითხულობ.

– კი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სარგებლობს იმით, რომ უმრავლესობაშია.

– „ოცნება“ ამბობს, რომ გამოვიდა შარლ მიშელის შეთანხმებიდან და ამ დროს დაიწყო ამნისტიის პროექტზე მუშაობის განახლება. ეს როგორ უნდა გავიგოთ?

– ეს არის პოლიტიკური თამაშის შემადგენელი ნაწილი. ის გავიდა შეთანხმებიდან, რათა არ აიღოს პასუხისმგებლობა ვადამდელი არჩევნების გამართვაზე. რაც შეეხება ამნისტიის პროექტს, ეს მის ინტერესებშია და მასზე მუშაობას განაახლებს.

– რაც აწყობს, იმ ნაწილს ტოვებს?

– კი, ასე გამოდის. მათ აქვთ უმრავლესობა და შეუძლიათ, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე წარმოადგინონ საკანონმდებლო ინიციატივა, შესაბამისად, მიიღონ და ის სულაც არ მიაბან მიშელის შეთანხმებას.

– სააკაშვილმა თქვა, რომ არჩევნებზე ჩამოვა საქართველოში. რა შთაბეჭდილება გრჩებათ, ის ამჯერად მაინც ჩამოვა და ხომ არ აძლევს ერთგვარ საკვებს „ოცნებას“, რომ ისევ თავისი მეთოდები აამუშაოს?

– მე მგონია, მეტი შანსი არსებობს იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილი ამ ეტაპზე არ ჩამოვიდეს საქართველოში. მისი ჩამოსვლის წინაპირობა არ არსებობს, პირიქით, ეს შექმნის დაძაბულობას. მას დახვდებიან მომხრეები საზღვართან და, შესაძლოა, ეს დაპირისპირებაში გადაიზარდოს. არ ვიცი, ის როგორ შემოვა, თბილისის აეროპორტიდან თუ, ვთქვათ, სარფის სასაზღვრო პუნქტიდან. მას დახვდებიან მომხრეებიც, მეორე მხრივ, ხელისუფლება შეეცდება მის დაპატიმრებას და ეს შექმნის დაძაბულობას. მან უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ დღეს განსხვავებული ვითარებაა 2003 წელთან შედარებით.

მე ნაკლებად ველოდები მის ჩამოსვლას, რადგანაც წინაპირობა არ არის შექმნილი. ის რომ დაბრუნდეს საქართველოში, ამისთვის აუცილებელია საქართველოში ხელისუფლების შეცვლა.

– მაშინ რატომ აკეთებს ასეთ განცხადებებს, როდესაც ხედავს რეალობას და თან აძლევს საკენკს „ოცნებას“?

– შესაძლებელია, ეს ემსახურებოდეს რაღაც მიზანს. შესაძლოა, მას მართლა ჰქონდეს ჩამოსვლის სურვილი და დაბრუნების შემთხვევაში ისევე მოიქცეს, როგორც ვარდების რევოლუციის დროს გააკეთა და სენაკიდან წამოუძღვა თბილისში. შეიძლება, ახლაც იგივე მოხდეს, თუმცა დღეს სხვა ვითარებაა.

მეორე ვარიანტია ის, რომ შესაძლოა, დაბრუნება იყოს მისი სურვილი, რათა მოტივაცია გაუღვივოს თავის მომხრეებს, აჩვენოს, რომ მათ გვერდით არის და საქართველოში ჩამოსვლის სურვილი აქვს, აჩვენოს ხალხს, იმის მიუხედავად, რომ უკრაინის მოქალაქეა და მაღალი თანამდებობა უკავია, არ აპირებს, საქართველოში მიმდინარე პროცესებს ჩამოსცილდეს.

მასშტაბური სპეცოპერაცია საქართველოში

შსს-მ 21 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში, ლაგოდეხში, მარნეულში, რუსთავსა და ბათუმში ნარკორეალიზატორები დააკავა, ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები.

პოლიციის მიერ, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 18 ნარკორეალიზატორია დაკავებული, კერძოდ:

– ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ: 1996 წელს დაბადებული, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი დ.ვ., 1974 წელს დაბადებული, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ. გ., 1974 წელს დაბადებული ე. კ., 1970 წელს დაბადებული გ. კ., 1982 წელს დაბადებული ზ. მ., 1984 წელს დაბადებული ა.ა. და 1992 წელს დაბადებული გ.ნ. 1988 წელს დაბადებული ა. ნ. და 1988 წელს დაბადებული ვ. ა., 1986 წელს დაბადებული ვ. მ., 1986 წელს დაბადებული ტ. ა., 2004 წელს დაბადებული ა. გ.

– კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ: 1973 წელს დაბადებული ი. ა., 1983 წელს დაბადებული ვ. ა.

– ქვემო ქართლის თანამშრომლების მიერ: 1986 წელს დაბადებული რ. გ., 1974 წელს დაბადებული ი.ა., 1992 წელს დაბადებული მ.კ., 1990 წელს დაბადებული ო.ზ.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის: – აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ: 1964 წელს დაბადებული ა.გ., 1982 წელს დაბადებული მ.ჭ.

– თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლების მიერ: 1985 წელს დაბადებული გ.ა.

მათ ბრალად განსაკუთრებით დიდი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა, უკანონო გასაღება და ჯგუფურად ჩადენილი უკანონო გასაღების მცდელობა ედებათ.

დანაშაულები 8-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს მოქალაქეებზე სისტემატურად ყიდდნენ. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენიმეჯერ განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციის მიერ დაკავებული 3 პირი სოციალურ ქსელში არსებული ნარკორეალიზატორთა ორგანიზებული ჯგუფის კურიერები იყვნენ. ისინი ნარკოტიკულ საშუალებებს თბილისში, სხვადასხვა ადგილზე, უკანონო რეალიზაციის მიზნით ათავსებდნენ და ასაღებდნენ.

სამართალდამცველებმა, მათი პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, ნივთმტკიცებების სახით ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის 8 ლიტრამდე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება. ჩხრეკისას ასევე ამოღებულია დიდი ოდენობით თანხა.

ნარკოდანაშაულის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

უზენაესმა სასამართლომ დავით კეზერაშვილს 5 წელი მიუსაჯა

„ამ უმსგავსობის ინიციატორი ირაკლი ღარიბაშვილია“

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილს 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. კეზერაშვილს ბრალდება ერთ-ერთ საწვრთნელ პროექტში 5 მილიონ 60 ათასი ევროს გაფლანგვისთვის ჰქონდა წარდგენილი.

დაცვის მხარემ საქმე ორ ინსტანციაში მოიგო, თუმცა ამის შემდეგ, პროკურატურამ საკასაციო წესით უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

პროცესი გუშინ, 7 სექტემბერს, გაიმართა და მას თავად დავით კეზერაშვილი არ დასწრებია, რომელიც განაჩენს ფეისბუქში გამოეხმაურა:

„ივანიშვილის პირადი იურისტისა და ყოფილი გენერალური პროკურორის ხელით, უზენაეს სასამართლოში მიღებული გადაწყვეტილება კიდევ ერთი ნაბიჯია მისი მხრიდან, სასამართლო სისტემის საკუთარ ვიწრო პოლიტიკურ ამოცანებზე მორგებისა.

მე ჩემი ქვეყნის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული და პასუხისმგებლობის გრძნობა გამაჩნია. სწორედ ეს პასუხისმგებლობა წარმოადგენდა და წარმოადგენს მთავარ მოტივს, წლების განმავლობაში, საქართველოში თავისუფლებისთვის ბრძოლის ნებისმიერი გამოვლინების აქტიური გულშემატკივარი და თანამდგომი ვყოფილიყავი – იქნებოდა ეს სამოქალაქო აქტივიზმი თუ ხელისუფლების გავლენებისგან თავისუფალი, დასავლურ ფასეულობებზე დაფუძნებული მედიასაშუალების მხარდაჭერა.

უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ სამარცხვინო გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებ სტრასბურის სასამართლოში. თადუმაძე და ივანიშვილის ჯიბის სასამართლო მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ ყველაფერი იკადროს – მათსავე სასამართლოს ორ ინსტანციაში ჩემი უდანაშაულობის უტყუარი მტკიცებულებებით გამართლებისა და თითქმის ოთხწლიანი პაუზის შემდეგ საქმე ამგვარად შემოატრიალოს.

ჩემთვის ცნობილია, რომ უშუალო ინიციატორი და ორგანიზატორი ამ უმსგავსობისა ივანიშვილის ხელის ბიჭი ირაკლი ღარიბაშვილია. სწორედ ის ფიქრობს, რომ ამდაგვარად დააშინებს ან დამაშანტაჟებს მე ან ჩემ მიერ მხარდაჭერილ ტელევიზიას.

ეს კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ისტორიის სწორ მხარეს ვარ და მიმყარებს მოტივაციას, უფრო მეტი ენთუზიაზმით დავეხმარო თავისუფალ სიტყვას და ზოგადად თავისუფლებისთვის ბრძოლას საქართველოში“.

„80 წლის ამირან პაპუაშვილს იარაღის ყიდვა უნდოდა“

რისი ეშინოდა რუსთავში მოკლულ მოხუცს

პრაიმ ტაიმისთვის ცნობილი ხდება რუსთავში 80 წლის ამირან პაპუაშვილის მკვლელობის ახალი დეტალები.

მოკლულის ახლობელი, რომელმაც ვინაობის გასაჯაროებისგან თავის შეკავება ითხოვა, ყვება, რომ ამირან პაპუაშვილი მეზობლების მხრიდან ხშირად განიცდიდა შევიწროებას. რაც შეეხება მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ 23 წლის მეზობელს, ეს ახალგაზრდა ქალი მოხუცს სისტემატურად ძალავდა ფულს, რასაც თან ახლდა მუქარა.

მოხუცს შიში ჰქონდა, რომ მოკლავდნენ, რის გამოც იარაღის შეძენაზეც კი ფიქრობდა.

– სულ მაგას მეუბნებოდა, მეზობლები არ მივარგაო. ჯერ ტუალეტი წამართვესო, ახლა ვიღაც მდგმურები გადმოვიდნენო, 23 წლის გოგო თავის ქმართან და 2 შვილთან ერთადო და სულ ფულს მძალავენო. ამბობდა, ჩემი მოკვლა უნდათო. ისიც კი მითხრა, იარაღი მინდა ვიყიდო, თავის დაცვა მინდაო.

წინაზეც 3.442 ლარი მოჰპარეს სახლიდან, ახლაც დაახლოებით მაგდენი მოჰპარეს. ადებდა კიდეც ხელს მაგ მდგმურებს.

მოხუცებულს ეუბნებოდა ეს გოგო, რად გინდა ფული, მე მომეციო. ძალავდა, რამდენჯერაც ფული გამომართვეს, აღარ მომიტანეს უკანო.

ვუთხარი, პოლიციას მიმართე მეთქი და არაო – ისედაც ვძულვარ მეზობლებს და უარესად გადამეკიდებიანო, – ყვება მოკლული მოხუცის ახლობელი.

24 აგვისტოს რუსთავში 23 წლის ქალმა 80 წლამდე კაცი ბლაგვი საგნით მოკლა.

ბრალდებული დოდო ჯანგულაშვილი ჩვენებაში დეტალურად აღწერს, თუ როგორ მოკლა 80 წლის მეზობელი.

სვანეთში უშბაზე მოლდოველ მამა-შვილს ეძებენ



სვანეთში, მწვერვალ უშბაზე ლაშქრობისას მოლდოვიდან ალპინისტი მამა-შვილი დაიკარგა. ამის შესახებ ინფორმაცია დაკარგულების ოჯახის წევრმა გალინა კულიკოვამ ფეისბუქში დაწერა.

ქალის თქმით, ბოლოს ქმარ-შვილს 28 აგვისტოს 15:58 საათზე დაუკავშირდა.

„გვჭირდება დახმარება. ბოლოს მომწერეს, რომ კარგად იყვნენ. მას შემდეგ ისინი კავშირზე აღარ გამოსულან“, – აცხადებს დაკარგულების ოჯახის წევრი.

დაკარგული ტურისტების ძებნის ოპერაციაში ადგილობრივი მაშველები უკვე ჩაერთნენ. რაც შეეხება სამაშველო ვერტმფრენს, ცუდი ხილვადობის გამო მისი აფრენა ვერ მოხერხდა.

„ევროპული საქართველო“ „იმედს“ კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში უჩივის

„ევროპული საქართველო“ ტელეკომპანია „იმედს“ კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში უჩივის.

„იმედმა“ პარტიის წინასაარჩევნო ვიდეორგოლის გაშუქებაზე უარი განაცხადა, ეს გადაწყვეტილება კი ვიდეოში შეურაცხმყოფელი ელემენტების არსებობით ახსნა.

„ევროპული საქართველოს“ წევრი, გიორგი ნონიაშვილი ამბობს, რომ პარტიამ კლიპში, არსებული პოლიტიკური ვითარება ასახა, რაც ტელეკომპანიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და ვიდეორგოლი პოლიტიკური მოტივებით აკრძალა.

– ჩვენ ვთავაზობთ სხვანაირი ტონალობისა და განსხვავებულ ვიდეორგოლს წინასაარჩევნოდ „ევროპული საქართველოსი“, რომელიც ბევრად უფრო რბილია ტონალობის თვალსაზრისით, ბევრად უფრო ფუმფულაა და მოიცავს „ქართული ოცნების“ ძირითად მესიჯბოქსს, როგორ დუღს ეკონომიკა, როგორ ვართ მოწინავე ადგილზე კოვიდთან ბრძოლაში და ა.შ. გვაინტერესებს, გაუშვებს თუ არა ტელეკომპანია „იმედი“ ასეთი ტიპის კლიპს, – თქვა ნონიაშვილმა ბრიფინგზე.

მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული თანხის შემოტანის მცდელობა აღკვეთეს

საბაჟო გამშვებ პუნქტში „ქუთაისის აეროპორტი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქის მ.პ.-ს ბარგისა და ხელბარგის დათვალიერების შედეგად 40.000 აშშ დოლარის უკანონო შემოტანის მცდელობის ფაქტი გამოავლინეს.

ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 12.459.2 ლარის (არადეკლარირებული თანხის 10%) ოდენობით.

„კარფურის ლინკი არ გახსნათ!“

თაღლითური სქემა ფეისბუქში

გუშინ, 7 სექტემბერს, დილიდან ფეისბუქში ვირუსული ლინკი ვრცელდებოდა – ფეისბუქის მომხმარებლები მეგობრებისგან პირად შეტყობინებებში გზავნილს იღებდნენ, რომელიც მაღაზია კარფურის სახელით ვრცელდებოდა.

ფეიკ-ლინკზე გადასვლის და კითხვარის შევსების შემდეგ კომპანია, თითქოს 64-წლიან იუბილესთან დაკავშირებით მომხმარებელს საჩუქრებს სთავაზობს.

კომპანიამ გუშინვე განცხადება გაავრცელა და მომხმარებლებს სიფრთხილისკენ მოუწოდა.

„შევიტყვეთ, რომ ბევრი თქვენგანი იღებს საეჭვო შეტყობინებებს კარფურის სახელით. გაცნობებთ, რომ აღნიშნული შეთავაზება არ წარმოადგენს სინამდვილეს და არ იგზავნება კარფურ საქართველოს მხრიდან!

კარფურის ოფიციალური შეთავაზებები და აქციები მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნდება კარფურის ოფიციალურ ფეისბუქისა და ინსტაგრამის გვერდებზე ან კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდსა და აპლიკაციაში!

გთხოვთ, საეჭვო შეტყობინებებმა არ შეგიყვანოთ შეცდომაში და არ გადახვიდეთ ლინკზე“, – წერია განცხადებაში.

გომელაური ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან, ალბერტ იონსონთან, შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და საარჩევნო პროცესის უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების მნიშვნელობა.

ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანაა ქვეყნის მასშტაბით მართლწესრიგის დაცვა და არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ, უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა. მისივე თქმით, სამინისტრო აქტიურად არის ჩართული არჩევნების მოსამზადებელ პროცესებში და არჩევნებთან დაკავშირებული დანაშაულის პრევენციისა და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, კანონით გათვალისწინებულ შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს ინფორმაცია მიაწოდა სამინისტროს მიერ ამ კუთხით უკვე განხორციელებულ და სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე. ვახტანგ გომელაურმა გამოთქვა მზაობა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროაქტიურად ითანამშრომლოს და ინფორმაცია გაუზიაროს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს საარჩევნო პერიოდში შესაძლო დარღვევებისა და პოლიციის მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ.

ბმვ ბეტონს შეასკდა, მძღოლი დაიღუპა

ავარია ფოთის გზაზე

ფოთი-გრიგოლეთის გზაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. მაღალი სიჩქარით მოძრავი ბმვ-ს მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, სავალი ნაწილიდან გადავიდა და ბეტონის ბოძს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც მანქანას მართავდა, ადგილზე დაიღუპა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

მომხდარ ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო.

ისრაელმა ღაზის სექტორში ჰამასის ობიექტები დაბომბა

ისრაელის თავდაცვის ძალებმა ღაზის სექტორზე ავიაიერიში მიიტანეს.

ისრაელის თავდაცვის ძალებში აცხადებენ, რომ დარტყმა ღაზის სექტორიდან ისრაელის მიმართულებით გაშვებული ხანძრის გამჩენი ბუშტების საპასუხოდ განახორციელეს.

მათივე მტკიცებით, ისრაელის სამხედროების სამიზნე ხან იუნისში მდებარე ჰამასის რაკეტების წარმოების ობიექტი და სასწავლო ბანაკი იყო.

ისრაელის მედიის ინფორმაციით, ავიაიერიშამდე ღაზის სექტორიდან ისრაელის ტერიტორიისკენ ცეცხლგამჩენი ბუშტები გაუშვეს, რამაც ხანძრის სამი კერა გამოიწვია.

მეხანძრე-მაშველებმა მათი ლიკვიდაცია და მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილება შეძლეს.

აზერბაიჯანი: „მზად ვართ სომხეთთან ურთიერთობების ნორმალიზებისთვის“

აზერბაიჯანი სომხეთთან ურთიერთობების ნორმალიზებისთვის მზადაა.

ამის შესახებ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიჰუნ ბაირამოვმა განაცხადა.

მისი თქმით, აზერბაიჯანის წინააღმდეგ ათწლეულების განმავლობაში განხორციელებული აგრესიული პოლიტიკის მიუხედავად, აზერბაიჯანი მზად არის, მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის ნორმალიზება საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით მოახდინოს.

ჯეიჰუნ ბაირამოვმა ხაზი გაუსვა, რომ იგივე პოზიცია ქვეყნის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმაც გააჟღერა.

სალვადორმა ბიტკოინი ოფიციალურ ვალუტად დაამტკიცა

სალვადორი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც ბიტკოინი ოფიციალურ ვალუტად დაამტკიცა. გადაწყვეტილების მომხრეები ამბობენ, რომ ეს ნაბიჯი შეამცირებს საკომისიო ხარჯებს საზღვარგარეთიდან გადმორიცხულ მილიარდობით დოლარზე, თუმცა კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ამან შეიძლება ფულის გათეთრებას შეუწყოს ხელი.

პრეზიდენტი ნაიბ ბუკლე, რომელიც კრიპტოვალუტის დამტკიცებას მხარს უჭერდა, აცხადებს, რომ ეს სალვადორელებს ყოველწლიურად დაახლოებით 400 მილიონი აშშ დოლარის დაზოგვაში დაეხმარება, რასაც, მთავრობის დაანგარიშებით, ისინი ფულადი გზავნილების საკომისიოებში იხდიან.

მამაკაცი ავტომობილის ნაწილების მოპარვის მცდელობას ემსხვერპლა

უელსის ქალაქ ბლაინავონის მკვიდრი ახალგაზრდა მამაკაცი ავტომობილმა იმ დროს გასრესა, როდესაც ის კატალიზატორული კონვერტერის მოპარვას ცდილობდა იმისთვის, რომ სასამართლო ხარჯები დაეფარა ბავშვებთან ურთიერთობის საქმეზე.

აღნიშნულ საქმეზე წასვლამდე 25 წლის დენიელ სტივენსმა მეგობარს, სახელად აარონ გოდფრის უთხრა, რომ ბმვ-ს მარკის ავტომობილიდან კატალიზატორული კონვერტერის მოპარვასა და შემდეგ მის 500 ფუნტად გაყიდვას აპირებდა. მოპარული ავტონაწილის გაყიდვიდან შემოსული თანხით ის სასამართლო ხარჯების გასტუმრებას გეგმავდა. მას ყოფილ ცოლთან სასამართლო დავა ჰქონდა თავიანთ სამ შვილთან უფრო მეტი დროის გატარების თაობაზე.

გოფრი შეეცადა, მეგობრისთვის გადაეფიქრებინა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ უშედეგოდ. დილით ავტომობილის მფლობელი რასელ სელდონი სამსახურში წასვლას აპირებდა. ის მანქანასთან მივიდა და მის ქვეშ ადამიანის ფეხები შენიშნა. სელდონმა მას დაუძახა, თუმცა მამაკაცი არ გამოხმაურებია. მან ნახა, რომ ადამიანი მკვდარი იყო და პოლიცია გამოიძახა.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელ ლეია ჯეფრის თქმით, შემთხვევის ადგილზე მისვლის მომენტისთვის სტივენსის სხეული უკვე გაციებული იყო. მისი მკერდი, სახე და კისერი ავტომობილმა გასრისა. ცხედრის გვერდით პოლიციამ აღმოაჩინა ფარანი და დომკრატი. სტივენსი სვირინგებითა და თითების ანაბეჭდებით ამოიცნეს.

ქორწილის დროს პატარძალი სიძეზე გაბრაზდა და დაარტყა

ინდოეთში პატარძალმა ქორწილის დროს, მისი აზრით, უხამსი საქციელის გამო, სიძეს დაარტყა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა თვითმხილველმა ინსტაგრამში გამოაქვეყნა.

პატარძალმა შენიშნა, რომ ცერემონიის დროს საქმრო თამბაქოს ღეჭავდა. ამან ქალი გააცოფა.

– მავნე ჩვევები ადამიანს აფუჭებს! – დაიძახა პატარძალმა და გაბრაზებულმა სიძეს დაარტყა.

სიძე იძულებული გახდა, მაშინვე გადმოეფურთხებინა თამბაქო მოხითხითე სტუმრების თვალწინ. სიძე-პატარძლის მხრიდან არც ერთი ოჯახის წევრი და ნათესავი აღნიშნულ ინციდენტში არ ჩარეულა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იტალიაში მოქალაქეებს კოვიდ 19-ის ვაქცინის მესამე დოზას შესთავაზებენ

იტალიაში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მესამე დოზას „კლინიკურად დაუცველ“ ადამიანებს შესთავაზებენ.

ამის შესახებ ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა რობერტო სპერანზამ განაცხადა.

– მესამე დოზის გამოყენებას სექტემბერში სუსტი ჯანმრთელობის პაციენტებით დავიწყებთ, როგორიცაა ონკოლოგიური და ორგანოგადანერგილი პაციენტები, – აღნიშნა რობერტო სპერანზამ.

იტალიაში მოსახლეობის 64.3% სრულად არის ვაქცინირებული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პატიმარმა თავი სხვა ადამიანად გაასაღა და ციხიდან გაიქცა

24 წლის პატიმარმა ქალმა ელენ რენეი გობლმა თავი სხვა ადამიანად გაასაღა და ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ციხიდან გაიქცა.

28 აგვისტოს, შაბათ დილით, რენეი გობლმა სხვა პატიმრის პირადი მონაცემები გამოიყენა ციხიდან გასასვლელად. დაცვას პატიმრის გაქცევის თაობაზე არაფერი გაუგია მანამდე, სანამ პატიმრებმა არ აცნობეს, რომ ქალმა თავი სხვა ადამიანად გაასაღა.

მაშინ ციხის თანამშრომლებმა განმეორებითი შემოწმება ჩაატარეს და დარწმუნდნენ, რომ რენეი გობლის პატიმრობის ვადა ჯერ ამოწურული არ ყოფილა.

შერიფმა აარონ უილსონმა სამუშაო ჯგუფი შეკრიბა გაქცეულის მოსაძებნად და მისი გაქცევის პირობების გამოსაძიებლად. მიუხედავად იმისა, რომ, უილსონის თქმით, გაქცეული პატიმარი საფრთხეს არ წარმოადგენს საზოგადოებისთვის, ის ადგილობრივებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

შერიფმა გაქცეული პატიმრის აღწერილობა გაავრცელა და ყველას მიმართა თხოვნით, მიაწოდონ ინფორმაცია ქალის ადგილსამყოფლის თაობაზე.

მოსწავლე სპორტსმენი კორონავირუსით დაინფიცირების შედეგად დაინვალიდდა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრი ჯეიკობ პერიში კორონავირუსით დაავადების შედეგად იმდენად დაუძლურდა, რომ თავი ინვალიდის ეტლში ამოყო.

11 წლის ქალაქ გრიმსბის მცხოვრებ მოზარდს კოვიდ-19 თავის მამისგან ჯერ კიდევ მარტში გადაედო და დღემდე მისი შედეგების მკურნალობა უწევს. ისევე, როგორც უამრავი სხვა ბავშვის შემთხვევაში, რომლებმაც კორონავირუსი გადაიტანეს, ავადმყოფობის საწყისი სიმპტომები მსუბუქი ჰქონდა. თავდაპირველად ჯეიკობს გაუქრა ყნოსვისა და გემოს შეგრძნება, შემდეგ კი მოსწავლე სპორტსმენს ძალა ეცლებოდა. დაღლილობისგან მოზარდი ტელეფონის ყურმილის აღებასაც ვეღარ ახერხებდა, ხოლო კიბეზე ხოხვით ჩამოსვლა უწევდა.

– თავბრუ ეხვეოდა, შემდეგ კი ისეთი შეგრძნება ექმნებოდა, რომ სადაცაა გული გაუსკდებოდა. იძულებული გავხდით, ინვალიდის ეტლი შეგვეძინა იმისთვის, რომ მისი ქუჩაში გასეირნება მოგვეხერხებინა, ექვსი კვირის შემდეგ კი სამუდამო ინვალიდად იქცა, – განაცხადა ბიჭის დედა ვიქტორია პერიშმა, რომელიც შვილის მოსავლელად იძულებული გახდა, სამსახურიდან განთავისუფლებულიყო.

ქალის თქმით, კორონავირუსით დაინფიცირებამდე მისი შვილი სრულიად ჯანმრთელი და სპორტული ბავშვი იყო. მას უყვარდა ველოსიპედით სეირნობა, ცურვა და ცეკვა მაიკლ ჯექსონის სიმღერებზე.

ქალის ობობასთან შეხვედრა პოლიციის გამოძახებით დასრულდა

შოტლანდიის ქალაქ ლივინგსტონის მცხოვრებმა ქალმა ობობის დანახვისას ისეთი კივილი ატეხა, რომ მასთან პოლიცია მივიდა.

30 წლის ჰოლი ჰანტერმა ობობა საკუთარ საძინებელ ოთახში საწოლზე ორშაბათს, 30 აგვისტოს აღმოაჩინა.

– 40 წუთი დავხარჯე იმისთვის, რომ ჩრჩილი მომეშორებინა, შევედი საძინებელში და ჩემს საწოლზე უზარმაზარი ობობა დავინახე, – განაცხადა ქალმა.

მან ობობას წიგნების სროლა დაუწყო, რის შემდეგაც ის მისკენ გაიქცა. ჰანტერი შეშინდა და ოთახებში სირბილსა და ყვირილს მოჰყვა. მისი ყვირილი მეზობელმა გაიგო და პოლიცია გამოიძახა.

– კარის საჭვრეტში გავიხედე, იქ კი ხუთი პოლიციელი იდგა. კარი გავაღე და ვუთხარი, მაპატიეთ, მაგრამ ჩემი საწოლის ქვეშ ობობაა, მე კი შეშინებული ვარ, – გაიხსენა ჰანტერმა.

პოლიციელებმა მას ჰკითხეს, იყო თუ არა სახლში კიდევ ვინმე, შემდეგ ობობა დაიჭირეს და ქუჩაში გაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

უეფას საკუთარი პრესტიჟი აღელვებს



როგორც უკვე ვწერდით, ფიფა მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარებას 2 წელიწადში ერთხელ აპირებს. ამის თაობაზე ფიფას გლობალური განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელმა არსენ ვენგერმა ფრანგულ მედიასთან ისაუბრა.

მეტიც, მუსიე ვენგერმა ისიც კი დასძინა, რომ დიდი სურვილი აქვს, ეს იდეა წელსვე, დეკემბერში გადაწყდეს, თუმცა, ცვლილებების შემთხვევაში, მხოლოდ 2028 წლიდან.

ამ წინადადებას ფიფას წევრი 166 ფედერაცია უჭერს მხარს, თუმცა არა უეფა და ევროპული ქვეყნები.

უეფას პრეზიდენტ ალეკსანდრ ჩეფერინს ძალიან არ მოსწონს ფიფას რევოლუციური იდეები და მის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გამოვიდა.

ალეკსანდრ ჩეფერინი:

– მეტჯერ ყოველთვის არ ნიშნავს უკეთესს. მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში თავისი იშვიათობით არის ძალიან ფასეული. თუ მას ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ჩაატარებენ, ტურნირი ფასეულობას დაკარგავს.

უეფას, პირველ რიგში, საკუთარი თავი უფრო აწუხებს – თუ მუნდიალი ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ჩატარდება, ეს ევროპის ჩემპიონატის პრესტიჟზე არ აისახოს. უეფას პრეზიდენტსაც, პირველ რიგში, ეს აღელვებს.

რეალი ახალ სტადიონზე ახალ გუნდს გეგმავს

მადრიდის რეალი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ რეკონსტრუქციას ატარებს. ბალახის დაგება უკვე დაწყებულია და ყველაფერს ცდილობენ, რომ პრიმერა დივიზიონის მე-4 ტურში მადრიდელებმა იქ უმასპინძლონ სელტას.

თუმცა სარეკონსტრუქციო სამუშაოები რჩება და სტადიონიც საბოლოო სახეს იანვრისთვის მიიღებს.

აი, უკვე ახალი წლისთვის ფიქრობს ფლორენტინო პერესი ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდის შეკვრას.

„ბლანკოსს“ ძალიან ამბიციური გეგმები აქვს და სურს, რომ ახალ არენაზე ნამდვილი სპექტაკლები დადგას, საამისოდ კი შემადგენლობის მნიშვნელოვანი განახლებაა საჭირო.



დავიდ ალაბა და ედუარდო კამავინგა უკვე მადრიდელები არიან. მათ გარდა, რეალში ერლინგ ჰოლანდს, კილიან მბაპეს, პოლ პოგბას, ჯულს კუნდესა და სხვა ვარსკვლავებს ელიან.

ესპანური მედია დარწმუნებით წერს, რომ 2022 წელს რეალი 2009 წლის სცენარის განვითარებას აპირებს, როდესაც ფლორენტინო პერესმა გუნდში ნამდვილი ვარსკვლავთცვენა მოაწყო. გეხსომებათ, მაშინ, ერთ ზაფხულს, მადრიდელთა მაისური ერთდროულად ჩაბი ალონსომ, ქარიმ ბენზემამ, კაკამ და კრიშტიანუ რონალდუმ მოირგეს.

რეალი სუპერგეგმის ამოქმედებას იანვრიდან დაიწყებს, მანამდე კი წინასატრანსფერო სამზადისი ექნება. ფლორენტინო პერესს შესაბამისი დავალებები უკვე გაცემული აქვს.

პერესს უკვე ის დავალებებიც აქვს გაცემული, თუ ვინ უნდა დატოვოს გუნდი, რომ რეალმა ახალი შევსება მიიღოს: მარიანო დიასი, გარეთ ბეილი, მარსელო ვიეირა, ხესუს ვალიეხო, დანი სებალიოსი, ისკო ალარკონი, ლუკა იოვიჩი და ალვარო ოდრიოზოლა კარლო ანჩელოტის გუნდში აღარ მოიაზრებიან.

ბეილთან, ისკოსთან და იოვიჩთან დაკავშირებით ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, ვინაიდან ეს სხვადასხვა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუმცა, თუ პერესი ჰოლანდსა და მბაპეს დაიმატებს, ამ ფეხბურთელების დარჩენის შანსი ნულის ტოლი იქნება.

ასევე ჯერჯერობით გაურკვეველია ბრაჰიმ დიასისა და ტაკეფუსა კუბოს მომავალი, რომლებიც, სავარაუდოდ, ისევ იჯარით წავლენ გუნდიდან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შერმადინი ისევ საუკეთესოა, ბურჯანაძე ესპანეთში დაბრუნდა, ფევაძე კარიერას იწყებს

საქართველოს ნაკრების ცენტრმა გიორგი შერმადინმა ტენერიფესთან ერთად ხეტაფეს თასი მოიგო. ფინალში გიორგის გუნდის მეტოქე მადრიდის ფუენლაბრადა იყო, რომელიც კუნძულელებმა 101:96 დაამარცხეს.

ესპანეთში ჩემპიონატის დაწყების წინ ტრადიციულად იმართება სხვადასხვა ტურნირი, რომლებიც სეზონისთვის მოსამზადებელ ხასიათს ატარებს. შერმადინმა, რომელიც გასულ სეზონში ესპანეთის ლიგის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს, დაამტკიცა, რომ მომავალ პირველობასაც შესანიშნავ ფორმაში ხვდება.

ჩვენებურმა ხეტაფეს თასის მოგებაში დიდი წვლილი შეიტანა. შერმადინმა მოედანზე 20 წუთი გაატარა და ამ დროში 17 ქულა და 2-2 მოხსნა პასი მოაგროვა. მასზე მეტი მხოლოდ მისმა ფინელმა თანაგუნდელმა სასუ სალინმა ჩააგდო – 18 ქულა.

ნახევარფინალში ტენერიფემ თორნიკე შენგელიას ყოფილი კლუბი ბასკონია დაამარცხა – 81:67. ამ შეხვედრაში გიორგის ანგარიშზე 9 ქულა დაფიქსირდა.

ტენერიფეს ახალ სეზონში პირველი ოფიციალური ტიტულის მოგების შანსი 11-12 სექტემბერს ექნება, როდესაც ესპანეთის სუპერთასის მატჩებს უმასპინძლებს. 11-ში ნახევარფინალური თამაშებია დაგეგმილი: შერმადინის გუნდი მადრიდის რეალს ეთამაშება, ფინალის მე-2 საგზურისთვის კი ბარსელონა და ვალენსია იბრძოლებენ.

ახალი სეზონის წინ ლისაბონის საერთაშორისო ტურნირში ითამაშა ბეტისმა, რომელთან კონტრაქტიც ბექა ბურჯანაძემ გააფორმა. სევილიურმა კლუბმა მასპინძელ ბენფიკას 74:71 მოუგო, ლისაბონის კიდევ ერთ წარმომადგენელ სპორტინგს 77:75 სძლია, ესპანურ ობრადიორისთან კი 92:93 დამარცხდა.

ქართველმა ფორვარდმა, რომელიც პაუზის შემდეგ დაუბრუნდა ესპანეთს, მხოლოდ პირველ და მესამე მატჩებში ითამაშა და, შესაბამისად, 2 და 3 ქულა ჩააგდო.

ბეტისი ესპანეთის ჩემპიონატის 2021-22 წლების სეზონში 18 სექტემბერს ჩაებმება, როდესაც სწორედ ბურჯანაძისა და შერმადინის ყოფილ კლუბ მორაბანკ ანდორას უმასპინძლებს.

ესპანეთში გააგრძელებს კარიერას საქართველოს ეროვნული ნაკრების 23 წლის კალათბურთელი ალექსანდრე ფევაძე, რომელიც გრან კანარიას მე-2 გუნდში გადავიდა. ეს გუნდი ესპანეთის რანგით მე-3 დივიზიონში ასპარეზობს.

ჩვენებური საწყის ეტაპზე გრან კანარიას მეორე გუნდში კი ითამაშებს, მაგრამ მთავარ გუნდში ნებისმიერ დროს შეუძლია გადასვლა. თუმცა ეს უკვე თავად კალათბურთელსა და მის თამაშზე იქნება დამოკიდებული.

ფევაძე ბოლოს საქართველოს სუპერლიგაში ცხუმ-აფხაზეთის ღირსებას იცავდა, მანამდე კი თსუ-სა და ბათუმის მაისურითაც უთამაშია.

ევრობასკეტი 2022-ის საკვალიფიკაციო ციკლში კი ფევაძემ 4 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 17.3 წუთში 5.3 ქულა და 4.0 მოხსნა ჰქონდა.

ფევაძის ახალ კლუბს სეზონის პირველი მატჩი 10 ოქტომბერს ელის, როდესაც ალგინეტს ესტუმრება.

საქართველო ბულგარეთში ყაზაიშვილის გარეშე ჩაფრინდა

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები მომდევნო მატჩს ბულგარეთში 8 სექტემბერს გამართავს. ეს ამხანაგური შეხვედრაა და ვილი სანიოლის საკუთარი ექსპერიმენტების ჩატარების უფლება აქ ექნება.

გუნდი ბადახოსიდან ქალაქ სოფიაში 6 სექტემბერს ჩავიდა და მოახლოებული მატჩისთვის 24 ფეხბურთელთან ერთად ემზადება. კოსოვოსთან (0:1) და ესპანეთთან (0:4) მატჩებისგან განსხვავებით, ბულგარეთის წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში გუნდს კორეული ულსანის შემტევი ვაკო ყაზაიშვილი ვერ დაეხმარება.

სანიოლის კრებულმა პირველად აღდგენითი ხასიათის ვარჯიში გამართა, ხოლო გუშინ ამხანაგური შეხვედრის მასპინძელ სტადიონზე მატჩისწინა ბოლო ვარჯიში სრულად დატვირთა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ბულგარეთში ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ);

მცველები: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია), გურამ გიორბელიძე (დინამო დრ, გერმანია), გრიგოლ ჩაბრაძე, ირაკლი აზაროვი (ორივე დინამო ბთ), ლუკა ლოჩოშვილი (ვოლფსბერგი), საბა ხვადაგიანი (დინამო თბ);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა (სლოვანი, სლოვაკეთი) გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), საბა ლობჟანიძე (ჰატაი, თურქეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი, რუსეთი), ჯაბა ჯიღაური, ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი, გიორგი ზარია (ყველა დინამო ბთ), მურთაზ დაუშვილი (აპოელი, კვიპროსი), გიორგი წიტაიშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა);

თავდამსხმელები: გიორგი მიქაუტაძე (სერენი, ბელგია), გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი).

ბულგარეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური დაპირისპირება 8 სექტემბერს სოფიის ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონზე 20:30 საათზე დაიწყება.

19 წლამდე ნაკრები მზადებას ორი მოგებით იწყებს

ვასილ მაისურაძის გაწვრთნილი საქართველოს 19 წლამდე ნაკრები 2022 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება.

მოსამზადებელ პერიოდში გუნდი 29 აგვისტოს შეიკრიბა, შემდეგ კი ტალინში გაემგზავრა და მასპინძელი ესტონეთის ნაკრების წინააღმდეგ 2 ამხანაგური მატჩი გამართა.

პირველი თამაში ჩვენი გუნდის გამარჯვებით, 2:0 დასრულდა. გოლები ოთარ მამაგეიშვილმა და ჯადული იობაშვილმა გაიტანეს.

უფრო დრამატული გამოდგა ამ გუნდების მეორე შეხვედრა, რომელიც ისევ მაისურაძის გუნდის გამარჯვებით დასრულდა – 2:1.

ანგარიში ესტონეთის ნაკრებმა პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა. თუმცა მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მე-2 წუთზე ნიკოლოზ ცხოვრებაშვილმა წონასწორობა აღადგინა, ხოლო მე-5 წუთზე გიორგი პირტახიამ გამარჯვების გოლი გაიტანა.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს, ჩვენი გუნდი მე-10 ჯგუფში ითამაშებს და, მასპინძელი ნორვეგიის გარდა, უელსისა და კოსოვოს ნაკრებებს შეხვდება.

თამაშები 6-12 ოქტომბერს გაიმართება.

6 ოქტომბერი: უელსი-საქართველო;
9 ოქტომბერი: საქართველო-კოსოვო;
12 ოქტომბერი: საქართველო-ნორვეგია.

ტურნირის ფორმატის მიხედვით, ელიტ-რაუნდის საგზურს ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასული ნაკრებები და 13 ჯგუფში ერთი საუკეთესო მესამეადგილსანი მიიღებენ.

19 წლამდე ნაკრებების ევროპის 21-ე ჩემპიონატი 2022 წლის ზაფხულში სლოვაკეთშია დაგეგმილი.

ჯანი ინფანტინო: „ეს სიგიჟეა“

2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ჩაშლილ მატჩს ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებებს შორის ფიფას პრეზიდენტი ჯანი ინფანტინო გამოეხმაურა. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს შეფმა მომხდარ ამბავს „სიგიჟე“ უწოდა და განაცხადა, რომ ასეთი რამ მხოლოდ პანდემიის დროს შეიძლება მოხდეს.

ჯანი ინფანტინო:

– ყველამ ვნახეთ, რაც მოხდა ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებების მატჩისას. არადა, ორივე მათგანი სამხრეთ ამერიკის ყველაზე გამორჩეული გუნდია. ამ დროს კი ვიღაც ჩინოვნიკები, პოლიციელები და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წუთში მინდორზე გამოჩნდნენ, რათა რამდენიმე ფეხბურთელი წაეყვანათ. ეს სიგიჟე იყო, მაგრამ ასეთი პრობლემებიც უნდა გადავწყვიტოთ. მსგავსი რამ, ალბათ, მხოლოდ პანდემიის დროს შეიძლება მოხდეს.

საგულისხმოა, რომ ფიფას საკუთარი გადაწყვეტილება ბრაზილია-არგენტინის ჩაშლილ მატჩზე ჯერ არ მიუღია.

შეგახსენებთ, რომ ზემოხსენებული თამაში 5 სექტემბერს უნდა ჩატარებულიყო. დაიწყო კიდევაც, მაგრამ მალევე მოედანზე ბრაზილიის ჯანდაცვის მარეგულირებელი სააგენტოსა და ფედერალური პოლიციის წევრები შეიჭრნენ და არგენტინელი ფეხბურთელების – ემილიანო მარტინესის, ემილიანო ბუენდიას, კრისტიან რომეროსა და ჯოვანი ლო ჩელსოს არა მარტო მოედნიდან, არამედ ქვეყნიდან გაყვანა მოითხოვეს.

ოთხივე ფეხბურთელი ინგლისში თამაშობს და ბრაზილიაში ჩასვლით არსებული კოვიდრეგულაცია დაარღვიეს, რადგან სავალდებულო კარანტინი არ გაიარეს.

ისევ უმაყურებლოდ

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 14 აგვისტოდან ყველა სპორტული ღონისძიება შეჩერებული იყო, 7 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილებით კი საქართველოში სპორტი ბრუნდება. განცხადება უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ოპერაციული შტაბის უფროსმა გიორგი ღიბრაძემ გააკეთა.

თუმცა ყველა სპორტული შეჯიბრება ჩატარდება მაყურებლის გარეშე. გარდა ამისა, ყველა მონაწილე უნდა იყოს აცრილი ან გავლილი ჰქონდეს 72-საათიანი პისიარ-ტესტი, ანაც – 24 საათზე მოქმედი ანტიგენის ტესტი.

შეგახსენებთ, რომ 2 სექტემბერს 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა ბათუმში კოსოვოს უმაყურებლოდ უმასპინძლა. სექტემბრის სანაკრებო ფანჯრის დროს გამართული 100-მდე მატჩიდან ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, სადაც სტადიონზე მაყურებელი არ დაუშვეს.

არადა, გაუმჯობესებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, გულშემატკივრები ტრიბუნებზე ყველგან შეუშვეს. მეტიც, უეფას მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ სტადიონებზე დასწრება არა მარტო მასპინძელი გუნდის გულშემატკივრებს, არამედ სტუმარ ფანებსაც შეეძლებათ.

ახლა ყველაფერი მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლებაზე იქნება დამოკიდებული და მათ უნდა გადაწყვიტონ, დაუშვებენ თუ არა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ მაყურებლებს ქვეყანაში და დაასწრებენ თუ არა მატჩზე.

როგორც ხედავთ, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში უკვე სტუმარი გუნდის გულშემატკივარსაც უშვებენ სტადიონებზე, ჩვენთან კი – საკუთარსაც არა...

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მრავალადგილიანი სამგზავრო ავტომობილი; 2. ქუჩის სახელწოდება ძველად საქართველოში; 3. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. ქალაქ ბარსელონის ძველი სახელწოდება; 5. ქიმიური ინდიკატორი; 10. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 11. მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; 12. ქართველი შტანგისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 15. ტვირთის დროებითი საცავი საბაჟოზე, ნავსადგურში; 16. რუმინელი კომპოზიტორი, პიანისტი, მევიოლინე, დირიჟორი; 17. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 20. ამბის მომტანი, შიკრიკი.

თარაზულად: 6. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 7. ღამის პეპელა; 8. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 9. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 13. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 14. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 18. საერთაშორისო, კომპიუტერული, საინფორმაციო ქსელი; 19. უხეში, გაუზრდელი, ბრიყვი ადამიანი; 21. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 22. ხშირი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 23. რამდენიმე ბანკის, კომპანიის გაერთიანება; 24. ფილატელისტის ალბომი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყუში; 2. აპაჩი; 3. შრატი; 5. ნადუღი; 6. კემპინგი; 9. ესკადრილია; 10. ვანდალები; 11. ჯვრისწერა; 14. მეი; 16. ბატიკა; 18. რიგა.

თარაზულად: 1. ყავარი; 4. დინამიკა; 7. საბენა; 8. ტარხუნა; 12. აკაბა; 13. ამპერი; 15. ედიქტი; 17. ნიუ; 19. აზერბაიჯანი; 20. ყანწი; 21. სამაია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მაყრიონი; 2. ყიფიანი; 3. სმოგი; 4. ქუვეითი; 5. რემისია; 10. დინასტია; 11. მუჯურეთული; 12. აზბესტი; 15. ბობოყვათი; 16. ხვიფლი; 17. როკფორი; 20. კუსტო.

თარაზულად: 6. კარდიოგრამა; 7. გურიელი; 8. შპიგელი; 9. ლორენი; 13. ვანი; 14. გუბაზი; 18. ლელობურთი; 19. რომბი; 21. იუნგა; 22. ფიკუსი; 23. აინშტაინი; 24. ერისიონი.

შედეგები

6 სექტემბერი
ფეხბურთი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ
ᲐᲤᲘᲜᲯᲐ

ბენინი-დრ.კონგო 1:1
უგანდა-მალი 0:0
ლიბერია-ც.აფრიკა 1:0
ს.აფრიკა-განა 1:0
კოტ დივუარი-კამერუნი 2:1

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ.
ᲡᲔᲒᲣᲜᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

უესკა-ოვიედო 1:2

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ
ᲯᲐᲪᲔᲑᲘ

ზვერევი-სინერი 6:4,6:4,7:6
ოპელკა-ჰარისი 7:6,4:6,1:6,3:6
ოტტე-ბერეტინი 4:6,6:3,3:6,2:6
ჯოკოვიჩი-ბრუკსბი 1:6,6:3,6:2,6:2

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ბენჩიჩი-შიატეკი 7:6,6:3
როჯერსი-რადუკანუ 2:6,1:6
პლიშკოვა-პავლუჩენკოვა 7:5,6:4
საკარი-ანდრეესკუ 6:7,7:6,6:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲑᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1115

ევრო — 3.6924

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2936

100 რუსული რუბლი — 4.2469

ამინდის პროგნოზი 8 სექტემბრისათვის

აგუერო ბარსელონის სავარჯიშო გრაფიკი გააკრიტიკა

ბარსელონის ახალწვეულმა სერხიო აგუერომ ბარსელონაზე ისაუბრა და თქვა, რომ მანჩესტერ სიტიში სხვაგვარი მიდგომა იყო.

სერხიოს თქმით, როდესაც ის ვარჯიშზე ერთი საათით ადრე მივიდა, მას სავარჯიშო დარბაზი დაკეტილი დახვდა:

– სიტიში ვარჯიშზე საათნახევრით ადრე მივდიოდი ხოლმე და გადავწყვიტე, ბარსელონაშიც იგივე გამეკეთებინა, მაგრამ, როდესაც მივედი, ყველაფერი დაკეტილი დამხვდა. სიმართლე გითხრათ, ამან გამაკვირვა.

ლუკაკუს მცირე ტრავმა აწუხებს

ჩელსის ფორვარდმა რომელუ ლუკაკუმ ერთ-ერთ ვარჯიშზე ბარძაყის მცირე ტრავმა მიიღო და ამის გამო მან, შესაძლოა, ჩელსის მომდევნო შეხვედრა გამოტოვოს.

ლუკაკუმ ამის შესახებ განცხადებაც გააკეთა და თქვა, რომ მას სურს, მოედანზე მალე დაბრუნდეს:

– ტრავმები ყოველთვის იყო და იქნება, მაგრამ დროთა განმავლობაში ვისწავლე, თუ როგორ უნდა გავუმკლავდე მათ და სწორი გადაწყვეტილებები მივიღო.

ვან გაალმა ტომას ტუჰელი შეაქო

ლუი ვან გაალმა ჩელსის მთავარ მწვრთნელ ტომას ტუჰელზე ისაუბრა და თქვა, რომ ჩელსი ძალიან გამართული ტაქტიკით თამაშობს და სწორედ ამის გამო მოიგო გუნდმა ჩემპიონთა ლიგა:

– როდესაც ჩელსის მატჩებს ვუყურებ, ვხვდები, რომ ამ გუნდს მწვრთნელის ხელი ეტყობა და მისი ტაქტიკა მუდმივად იძლევა შედეგს. ვფიქრობ, რომ ტუჰელი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ტელეგადაცემაში ნანახმა რიცხვებმა მამაკაცს ლატარიაში მოაგებინა

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ ჩესტერფილდის მცხოვრებმა ლატარიის გათამაშებაში ტელეშოუში ნანახი რიცხვები გამოიყენა და ჯეკპოტი მოხსნა.

მამაკაცმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, ლატარიის ბილეთი მაღაზიაში შეიძინა და მასში ჩაწერა შემდეგი რიცხვების კომბინაცია: 1, 10, 16, 17 და 18.

მისი განმარტებით, აღნიშნული რიცხვები ტელეგადაცემაში ნახა. შედეგად მან მთავარი პრიზი, 200 ათასი დოლარი მოიგო. მამაკაცს არ დაუკონკრეტებია, თუ რომელმა ტელეშოუმ მოუტანა სოლიდური მოგება.

მაღაზია, რომელშიც მამაკაცმა მომგებიანი ბილეთი შეიძინა, ჯილდოს სახით ორი ათას დოლარს მიიღებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 სექტემბრისათვის

ვერძი – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კურო** – ცვლილებების დრო არ არის. სერიოზული საკითხების მოგვარებას დღეს პლანეტები არ გირჩევენ. **ტყუპები** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **კირჩხიბი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ლომი** – სხვისი პრობლემების გადაწყვეტას ნუ შეეცდებით. თავი შეიკავეთ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან. **ქალწული** – გლობალური გადაწყვეტილებების მისაღებად სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს ეცადეთ, მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდეთ. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ღრმანაკალი** – გამორიცხული არ არის, დაგროვილ საქმეებს თავი შესანიშნავად გაართვათ, თუ, რასაკვირველია, არ იზარმაცებთ. **მშვილდოსანი** – საოჯახო პრობლემების მოგვარების დროა. შეგიძლიათ, საღამოს გაერთოთ და დაისვენოთ. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **მერწყული** – ნებისმიერი პრობლემის მოგვარება ხელგეწიფებათ, ოღონდ ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **თევზები** – დღევანდელი დღე ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ნუ გადაიღლებით. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– აბა, გიგი, მიპასუხე, როგორი ადამიანი უნდა იყო, რომ სამოთხეში მოხვდე?

– მკვდარი, მასწ.

●●●

სოფელში მეკუბოვეს სასახლის გამზადება შეუკვეთეს. მანაც იმუშავა, გაამზადა, მერე იფიქრა, ახლა ცოტას წავუძინებ და მერე გადავუტანო. რომ გაიღვიძა, უკვე 21 საათი იყო, კომენდანტის საათი იყო დაწყებული. კუბო მისატანი ჰქონდა და რას იზამდა, შემოიდო კუბო ზურგზე და გაუდგა გზას. შემოხვდა პატრული, გააჩერა და ეუბნება:

– სად მიხვალ ამ დროს, ხომ იცი, კომენდანტის საათია, ჰოდა ახლა 2000– ლარიან ჯარიმას გამოგიწერთ.

– არსად არ მივალ, ძამა. აგერ ახლოში საცხა დამასაფლავეს, არ მომეწონა ის ადგილი და სხვაგან გადავდივარ...

●●●

მამაკაცი ქალს ეუბნება:

– თქვენ ისეთი ნაკითხი, რომანტიკული და აღმაფრთოვანებელი ხართ! იქნებ ჩემთან შევიაროთ... შამპანური, სანთლები... ლექსები წავიკითხოთ, ვარსკვლავების ცქერით დავტკბეთ...

– პირდაპირ მოხიბლული ვარ თქვენი შემოთავაზებით, მაგრამ რა, სექსი არ გვექნება?!

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:

– პირდაპირ არ ვიცი, რა მოგიხერხოთ! მოწევას უკვე თავი დაანებეთ, სმასაც, მაგრამ გაუმჯობესება არ გეტყობათ. მაშინ სქესობრივი ცხოვრების შეზღუდვა მოგიწევთ, როგორც მინიმუმ, სანახევროდ.

– და ექიმო, იქნებ დამიზუსტოთ, რა აღარ უნდა გავაკეთო: სექსზე აღარ ვიფიქრო თუ აღარ ვილაპარაკო?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

15 წლის განმავლობაში ტაილანდში მცხოვრებ ბრიტანელ პენსიონერს გველებით სავსე ჯუნგლებში გზა აებნა და სამი დღე გუბეებში დაგროვილი წვიმის წყლით გაჰქონდა თავი.

72 წლის ლეონარდ ბარი ველერი მოტოციკლით უცნობ მარშრუტზე სასეირნოდ წავიდა და გზა აებნა. მან მოტოციკლი გააჩერა, რათა გორაკზე ასულიყო, მაგრამ შემდეგ უკან დასაბრუნებელ გზას ვეღარ მიაგნო და, უბრალოდ, წინსვლას აგრძელებდა. მოგვიანებით მან განაცხადა, რომ გზაში ადგილობრივებს არსად შეხვედრია, რათა მათგან გზა ესწავლა.

იმის იმედით, რომ ჯუნგლებიდან გასასვლელს მიაგნებდა, ველერი ხეზე აძვრა, მაგრამ მუსონური თავსხმა წვიმის გამო გზა მაინც ვერ გიაგნო. ამის გამო ის იძულებული გახდა, ღამე ჯუნგლებში გაეთია. მან ტოტებისა და ფოთლებისგან საწოლი მოიწყო და გუბის წყალი დალია.

მეორე დღეს მამაკაცის მეუღლემ ტეუიმ პოლიციას მისი დაკარგვის შესახებ აცნობა. სამართალდამცავები პენსიონერის ძებნას შეუდგნენ, მაგრამ სამძებრო ოპერაცია უშედეგოდ დასრულდა.

დაკარგვიდან ორი დღის შემდეგ პენსიონერი ადგილობრივმა მონადირემ იპოვა. იმ დროისთვის მამაკაცს ფეხსაცმელი დაეკარგა, ფეხები უამრავ ადგილას ჰქონდა დასერილი. დაკარგული ბრიტანელის თაობაზე ადგილობრივებმა პოლიციას აცნობეს.

მას შემდეგ, რაც ველერი გადაარჩინეს და ის მეუღლეს დაუბრუნდა, პენსიონერმა განაცხადა, რომ თავის ცხოვრებაში ისეთი ბედნიერი არასოდეს ყოფილა, როგორიც ახლა, მეუღლესთან და ცივილიზებულ სამყაროში დაბრუნების შემდეგ აღმოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დათუნა მგელაძე ნინო ფუტკარაძეზე დაინიშნა



მომღერალი დათუნა მგელაძე ნინო ფუტკარაძეზე დაინიშნა, რომელიც „რუსთავი 2“-ში მუშაობს. ის კურიერის ჟურნალისტია.

დათუნამ და ნინომ ნიშნობის ამსახველი ფოტოები ინტერნეტში გაავრცელეს. მათ უამრავი მილოცვა მიიღეს.

გოგა გველესიანი „მთავარ არხზე“ წამყვანი გახდა

მსახიობი გოგა გველესიანი ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გადაცემაში „შენი დილა“ წამყვანი გახდა.

„ჩვენი საყვარელი ოთხფეხა მეგობრები“ – ასე ჰქვია რუბრიკას, რომელსაც გოგა უძღვება. რუბრიკაში მაყურებელი მიიღებს რჩევებს და მოისმენს ისტორიებს, თუ როგორ უნდა აარჩიოს ოჯახისთვის სასურველი ძაღლი, როგორ გამოკვებოს და გაწვრთნას ის.

ეთნომუსიკოლოგი ნინო კალანდაძე კორონამ იმსხვერპლა

ეთნომუსიკოლოგი ნინო კალანდაძე კოვიდ 19-თან ბრძოლაში დამარცხდა და გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია **გია ბაღაშვილმა** გაავრცელა:

– კიდევ ერთი უძვირფასესი ადამიანი წაგვართვა კოვიდმა. ჩემი უახლოესი მეგობარი, საუკეთესო ქართველი ეთნომუსიკოლოგი, ჩემი ყველა ფოლკლორული პროექტის თანაავტორი, უთბილესი და უკეთილშობილესი პიროვნება ნინიკო კალანდაძე.

მე დავკარგე უახლოესი ადამიანი და საქართველომ დაკარგა ღირსეული შვილი, ჩვენი უდიდესი საგანძური, ქართული ხალხური სიმღერის უბადლო მცოდნე, ცნობილი პროფესორი, საერთაშორისო დონის მეცნიერი და მკვლევარი. უდიდესი ტკივილია...

გოგი დოლიძე 67 წლის გახდებოდა

ანსამბლ „ქართული ხმების“ უფროსი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მომღერალი გოგი დოლიძე 67 წლის გახდებოდა.

42 წლის ასაკში გარდაცვლილ კოლეგას ყოველ წელს იხსენებენ მისი მეგობრები, უმცროსი თაობის მომღერლები და გოგი დოლიძის ფენომენალურ ნიჭიერებაზე საუბრობენ.

ლაშა ღლონტი, მომღერალი:

– ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველი მომღერალი გოგი დოლიძე! ყოველთვის მითქვამს და ვიტყვი: ხანდახან, როცა „გამეხსნება“, კარგად ვიმღერებ და თავი მომღერალი მგონია, ვუსმენ გოგის და ვხვდები, რომ საერთოდ არაფერს წარმოვადგენ. და ეს სხვაობა, რაც წლები გადის, კი არ იკლებს, არამედ იმატებს. ასეა ეს.

დღეს რომ გოგი ცოცხალი ყოფილიყო, სულ სხვანაირი საქართველო იქნებოდა. გოგის სიმღერის მანერა და ზოგადად ქართული ქალაქური სიმღერა, როგორც მსოფლიო ხელოვნების საგანძური, მუსიკალურ სკოლებში უნდა ისწავლებოდეს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯუნგლებში გზააბნეულ პენსიონერს სამი დღე თავი გუბურის წყლის სმით გაჰქონდა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სანადირო თოფების წარმოების ცენტრი გერმანიაში; 2. მდინარის ჩამონატანი სილა, თიხა, ღორღი; 3. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 6. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 9. მზის გადასაღები ფოტოაპარატიანი ტელესკოპი; 10. უბანი ქუთაისში; 11. ესპანური ჩქარტემპიანი ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 14. რაიმე ჩამონათვალი; 16. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 18. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში.

თარაზულად: 1. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი ხორვატიაში; 4. წყნარი ოკეანისპირა პოპულარული კურორტი მექსიკაში; 7. იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 8. იახტის სამართავი საჭე; 12. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 13. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 15. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 17. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 19. ნიადაგის გამაფხვიერებელი აგრეგატი; 20. ვაშლის ღვინო; 21. ტკბილი, დესერტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა